ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

**თამაზ ყავრელიშვილი**

# საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები თვეა-სთან

სამაგისტრო ნაშრომი

ხელმძღვანელი: **პროფესორი მიხეილ თოქმაზიშვილი**

თბილისი

2019

## სარჩევი


ანოტაცია ...... 3

1.შესავალი ...... 4

2.თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია ...... 9

თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის მიმოხილვა და შეფასებები...... 13

თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის ამჟამინდელი და სამომავლო პარტნიორები ...... 16

ნორვეგია ...... 18

შვეიცარია...... 20

ისლანდია...... 22

ლიხტენშტეინი ...... 23

3.თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია და ევრო კავშირი ...... 24

თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცა და ევრო კავშირი - 21-ე საუკუნის გამოწვევები ...... 31

ინგლისი და თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია...... 35

4.საქართველოს თანამშრომლობა თავისუფალი ვაჭრობის ევროპულ ასოციაციასთან...... 40

შეთანხმების მიზანი...... 41

საქართველოსა და თვეას წევრი ქვეყნების ექსპორტ-იმპორტის მიმოხილვა(1995-2017 წ.)...... 43

საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები ნორვეგიასთან...... 52

ნორვეგიის სავაჭრო მახასიათებლები ...... 58

ნორვეგიის ალკოჰოლური სასმელების ბაზარი...... 61

5.საქართველოს სავაჭრო პერსპექტივები...... 64

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ზოგადი მიმოხილვა...... 64

საქართველოს სავაჭრო პროდუქტის პერსპექტივა ევროპულ ბაზარზე ...... 72

დასკვნა ...... 83

გამოყენებული ლიტერატურა...... 84

# ანოტაცია

ნაშრომში განხილულია საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის ქვეყნებთან (თვეა-EFTA-სთან)წარმოდგენილია საქართველოსა და თავისუფალი ვაჭრობის ევროპულ ასოციაციას შორის მიღებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიზანი,თვეას ჩამოყალიბების არსი და მსოფლიო გლობალიზაციის  პირობებში არსებულ სავაჭრო ხედვები.ასევე გაანალიზებულია მისი წევრი ქვეყნების ეკონომიკური ინდიკატორები,შესწავლილია საქართველოსთან ექსპორტ-იმპორტის მონაცემები და მისი ურთიერთობა და წილი ევრო კავშირის საგარეო ვაჭრობაში.აქტუალურობიდან გამომდინარე გაკეთებულია ზოგადი მიმოხილვა თვეას და ბრიტანეთის ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობა, განსაკუთრებით „ბრექსიტის" შემდგომ. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოსთვის ხელის შემშლელი ფაქტორები ევროპულ ბაზარზე თავის დასამკვიდრებლად და განხილულია პოტენციალი შესაბამისი კონკრეტული თუ ზოგადი პროდუქტების,რომელიც საშუალებას მისცემს გახდეს მსხვილი ექსპორტიორი არსებული თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების საფუძველზე.

# Annotation

Tamaz Kavrelishvili

Georgia's trade agreement with EFTA

For Georgia's economic development it is important to consider and analyze all the possibilities and challanges.In the papers (Georgia's trade agreement with EFTA) presented the purpose of the Free Trade Agreement between Georgia and the European Free Trade Association.,the essence of the establishment  EFTA and it's dependence on trade and economic perspectives in the current globalization. The economic indicators of it's member countries are analyzed, the export-import data with Georgia and its relationship and share with European union. The general overview of efta and British economic-political relations, especially after the "Bexit". The paper analyzes the facts of hampering Georgia for it's establishment on the European market and discusses the potential for concrete and general products that will enable Georgia to be the largest exporter  be based on an existing free trade agreement.

# შესავალი

თანამედროვე რეალობაში მზარდი გლობალიზაციის კვალდაკვალ აქტუალური სახე მიიღო რეგიონალურ-ეკონომიკურმა ინტეგრაციებმა, რომლის ჩამოყალიბება თავის მხრივ მიზნად ისახავს იტეგრაციის შიდა (წევრი) ქვეყნების ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებას. თავისუფალი ვაჭრობის ზონა ქვეყნების რეგიონალური დაჯგუფებაა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება უბაჟო ვაჭრობა. ინტეგრაციის ეს ფორმა სპობს შიდა ბარიერებს და ქმნის სასურველ წანამძღვრებს ბლოკის მონაწილე ქვეყნების სპეცალიზაციისთვის იმ საქონლის და მომსახურების წარმოებაზე, რომლებზეც გააჩნიათ შედარებითი უპირატესობა და აიოლებენ იმ საქონლის და მომსახურების შემოტანას, რომელთა წარმოებისთვის მათ გააჩნიათ შედარებითი უპირატესობა. ეკონომიკური ინტეგრაცია თავისუფალი ვაჭრობის ზონის ფორმით, როგორც წესი, ქმნის ხელსაყრელ ვითარებას ჯგუფის ყველა მონაწილისათვის, ვინაიდან თითოეულს შეუძლია დასპეციალდეს იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელთათვისაც აქვთ ყველაზე ხელსაყრელი წანამძღვრები, დანარჩენში კი შეუძლია დაეყრდნოს მის სხვა მონაწილეებს. ამასთანავე, ყოველი ქვეყანა ინარჩუნებს დამოუკიდებლობას სავაჭრო და სხვა სახის ეკონომიკურ პოლიტიკას.

ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ რეგიონალურ-ეკონომიკურ გაერთიანებას წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია (The European Free Trade Association; EFTA), რომელიც შედგება 4 ქვეყნისგან: შვეიცარია, ისლანდია, ნორვეგია და ლიხტენშტეინი.

თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის მიზანია დაიცვას წევრი ქვეყნების ეკონომიკური ინტერესები, გააძლიეროს არა მხოლოდ ევროპული რეგიონალური ინტეგრაცია, არამედ ხელი შეუწყოს გლობალიზაციის პროცესში მთელი მსოფლიოს ჩართვასა და ვაჭრობის ლიბერალიზაციას. სწორედ ამიტომ მათი თანამოკავშირეობის არეალი დიდი ხანია ევროპის კონტინენტის საზღვარს გასცდა და გაერთიანება დღესაც სისტემატიურად განაგრძობს მოლაპარაკებებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ ქვეყნებთან. 2016 წლის თებერვლის მონაცემებით მათი მოკავშირეების რიცხვი 43-ს აღწევს.

მოლაპარაკებაში ჩართული მხარეების მიზანია ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდა და სავაჭრო ლიბერალიზაცია, ისინი ადასტურებენ საკუთარ აზრს მოლოდინის შესახებ, რომ აღნიშნულ ქვეყნებსა და თვეა-ის წევრ ქვეყნებს შორის არსებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი დადებით გავლენას იქონიებს ორივე მხარისთვის. ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობა რეგულირდება თვეა-ს კონვენციით და მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა ადამიანების თავისუფალი გადაადგილება, ინვესტიცია, ვაჭრობა და საქონელი.

თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია განუყოფლადაა მიბმული ევროპის ეკონომიკურ ზონასთან (European Economic Area (EEA)). ამასთან, ასოციაციის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენდა ევროკავშირთან ურთიერთობის რეგულირება, რაც ეკონომიკურად დიდი მნიშნელობის მატარებელია ორივე მხარისთვის და ასევე, მესამე მხარის, ინტეგრაციის პარტნიორთათვის. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოსახლეობა აღემატება 500,000,000-ს, რაც თავის მხრივ შეადგენს უზარმაზარ ბაზარს.




- **#თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის საგარეო ვაჭრობის არეალის ნახაზი(წყარო : თვეას ოფიციალური ვებ გვერდი ,2018 ,** [http://www.efta.int/statistics/sources-for-more-statistics](http://www.efta.int/statistics/sources-for-more-statistics))

ეს თვეას წევრი ქვეყნებისთვის წარმოადგენს საკმაოდ დიდ პერსპექტივას. ნახევარმილიარდიანი კარგი პოტენციალის მქონე ბაზარს კიდევ უფრო მკაფიო მნიშვნელობას სძენს ტერიტორიული სიახლოვე,რაც თავის მხრივ მოიცავს ისეთ

ფაქტორებს,როგორებიცაა ადამიანური რესურებისა და ინვესტიციების გადაადგილების სიმარტივე,ტრანსპორტირების ხარჯები და სხვა უამრავი რეგიონალური სიახლოვით გამოწვეული ნიუანსი.

2017 წლის მონაცემებით თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის საერთო იმპორტი 246,265 მილიონ ევროს შეადგენს, საიდანაც ევროპული კავშირის წილი 67.8%-ია რაც 165,653 მილიონ ევროს წარმოადგენს. ანალოგიურად თვეას საერთო ექსპორტის(293,195 მილიონი ევრო) წილის 62.2% ევროკავშირზე მოდის.აღსანიშნავია ფაქტი,რომ ვაჭრობის ხვედრითი წილი ევროპულ კავშირთან დაახლოებით 6-ჯერ აღემატება პრიორიტეტის მიხედვით მეორე ადგილზე მყოფს.

საქართველო 2014-2015 წლებში აქტიურად აწარმოებდა წარმატებულ მოლაპარაკებებს თავისუფალი ვაჭრობის ევროპულ ასოციასთან. საქართველოსა და თვეას წევრ ქვეყნებს შორის ხელშეკრულება 2016 წლის ივნისში შედგა, ხოლო ძალაში 2017 წლის 1 სექტებერს შევიდა. იმ დროისთვის ხელშეკრულება მოიცავდა მხოლოდ საქართველოს, ნორვეგიისა და ისლანდიის ურთიერთობებს ხოლო ლიხტენშტეინი და შვეიცარია გეგმისამებრ ინიციატივას რამდენიმე თვეში შეუერთდებოდნენ. 2018 წლის 1 მაისს ძალაში შევიდა შეთანხმება საქართველოსა და თვეას წევრ ოთხივე ქვეყანას შორის, რაც მოიცავს თავისუფალი ვაჭრობის თითქმის სრულ სპექტრს.

საქართველოსა და EFTA-ს წევრ ქვეყნებს შორის საქონლით ვაჭრობა 2005 წლიდან 2015 წლამდე დაახლოებით 19%-ით გაიზარდა.ასევე 2015 წლის მონაცემებით ამ ორ მხარეს შორის ვაჭრობის საერთო ღირებულებამ 53.3 მილიონი დოლარი შეადგინა შეადგინა.აქედან საქართველოში იმპორტირებული საქონელი 49.4 მილიონს შეადგენდა და ძირითადი ადგილი ეკავა ისეთ პროდუქტებს როგორებიცაა ფარმაცევტული საქონელი,თევზი,საათები და სხვა...თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების მთავარი მიზანი ვაჭრობის ლიბერალიზაციაა,რის შედეგადაც ორივე მხარე ერთმანეთთან ექსპორტ-იმპორტის მკვეთრ ზრდას ვარაუდობს.

საბაჟო და სატარიფო ბარიერების მოხსნა გაზრდის როგორც იმპორტულ,ასევე ექსპორტულ რაოდენობას,ეს ორივეს მხარეს შესაძლებლომას მისცემს გაზარდონ არსებული პროდუქტების მიმოქცევა და სავაჭრო ურთიერთობებს შემატონ ახალი,გადახალისებული სავაჭრო პროდუქციის სია.საქართველოს ეკონომიკის

ყოფილი მინისტრი,დიმიტრი ქუმსიშვილი ამ შეთანხმების მიღწევას საქართველოსთვის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ეკონომიკურ ნაბიჯად აფასებს.თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის წევრი ქვეყნების მოსახლეობა 14 მილიონს შეადგენს,ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტი 1.2 ტრილიონს აღწევს.ეს ნიშნავს იმას,რომ საქართველოსთვის კიდევ ერთი უზარმაზარი ბაზარი ამოქმედდა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით და დიდი პერსპექტივაა საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობის ასამაღლებლად.თვეას ქვეყნები სიდიდით მე-9 ადგილს იკავებენ სასაქონლო ვაჭრობაში და მე-5 ადგილს კომერციულ მომსახურებაში,ასევე დიდი როლი უკავიათ პირდაპირ უცხოურ ინვესტირებაში.ამ დროისთვის თვეას ევროკავშირის წევრი ქვეყნების გარდა 38 ქვეყანასთან პარტნიორობენ,მათ შორის 27-თან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება მოქმედებს.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია შეისწავლოს საქართველოსა და თავისუფალი ვაჭრობის ევრუპული ასოციაციის შეთანხმების ზოგადი დებულებები,გაიაზროს ზემოაღნიშნული რეგიონული ინტეგრაციის დაფუძნებისა და შემდგომი ფუნქციონირების არსი,რის შედეგადაც შესაძლებელია გაკეთდეს ანალიზი თუ რა მიზანსა და პერსპექტივებს ისახავს საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება. თვეა-ს წევრი თითოეული ქვეყნის ზოგადი ანალიზისა და საგარეო ვაჭრობის სტრუქტურის შესწავლის შედეგად თვალსაჩინო გახდეს საქართველოსთვის პოტენციურად ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესების დასახვისა და მიღწევის გზები.ჩამოყალიბდეს მონახაზი ახლანდელი სავაჭრო ურთიერთობებისა და შეიქმნას სამომავლო პერსპექტიული ხედვა აღნიშნულ ქვეყნებთან მიმართებაში.

მიზნის მისაღწევად ამოცანებად დავისახეთ ჩამოგვეყალიბებინა თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის შექმნის ფუნდამენტური მიზანი და მისი შემდგომი განვითარების კვალდაკვალ დაგვეხასიათებინა მისი მნიშვნელობა მსოფლიო ბაზარზე.გარდა ისტორიული მიმოხილვისა და ამ ინტეგრაციის მაღალი ეკონომიკური როლისა მსოფლიო ბაზარზე,მნიშვნელოვან ფაქტორად მივიჩნიეთ თითოეული ქვეყნის ცალკეულად შესწავლის,როგორც სახელწიფოსი თავისი ზოგადი საგარეო ვაჭრობის ლიბერალური პოლიტიკით,ასევე ისეთი ეკონომიკური ფაქტორების შესწავლით და დახასიათებით,რომელიც ხელს შეუწყობს ქართულ სექტორს როგორც აწმყო

ურთიერთობების გასაანალიზებლად,ასევე სამომავლო ეკონომიკური ურთიერთობისა და სავაჭრო გზების დასახვისთვის.

თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის წევრ ქვეყნებთან პოტენციურად მზარდი სავაჭრო ურთიერთობების „სამაგალითოდ“ აღებულია ნორვეგიასთან ექსპორტ-იმპორტის მზარდი ტემპი.მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა გატანილი და შემოტანილი საქონლის სრული ჩამონათვალი თავისი კლასიფიკაციით, რაოდენობით,ღირებულებითა და წონით თვეების მიხედვით ,რაც საშუალებას მოგვცემს შეგვექმნას კონკრეტული წარმოდგენები იმ სამომავლოდ გასატანი და შემოსატანი საქონლისა,რომლის პერსპექტივასაც გვთავაზობს საქართველოსთან დადებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება.

## თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია

თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია და მისი ინსტიტუტები დაფუძნდა 1960 წელს ეგრეთწოდებული სტოქჰოლმის კონვენციით,როგორც სამთავროთაშორისი ორგანიზაცია,დანიის,ნორვეგიის,ავსტრიის,პორტუგალიის,შვედეთის,შვეიცარიისა და გაერთიანებული სამეფოს ინიციატივით.თვეა გთავაზობთ თავისუფალი ვაჭრობის სფეროს,ხოლო ევროკავშირი საბაჟო კავშირის კურსს.თვეას წევრი ქვეყნები ინარჩუნებენ დამოუკიდებელ ნებას და ინარჩუნებენ სრულ იურისდიქციას გარე ქვეყნებთან ურთიერთობებზე. მეორე მხრივ გერმანიის , საფრანგეთის , იტალიის, ბელგიის , ნიდერლანდების და ლუქსემბურგის გადაწყვეტილებით ყალიბდებოდა შემდგომი ინტეგრაციის ნაბიჯები სამწლიანი ხელშეკრულების ხელმოწერის გზით და ევროპულ ეკონომიკასთან საბაჟო კავშირის შექმნის მიზნით(EEC).უფრო ლიბერალურმა და ნეიტრალურმა ევროპულმა სახელმწიფოებმა იპოვეს გზა თუ როგორ დაეცვათ თავიანთი ეკონომიკური კეთილდღეობა თვეას სახით.ამავდროულად მისი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია სუვერენიტეტი.მისი ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზეზი იყო, რომ მის დამაარსებელ ქვეყნებს სხვადასხვა მიზეზების გამო არ სურდათ ან არ შეეძლოთ გაწევრიანება ევროგაერთიანებაში. შეთანხმება ითვალისწინებდა სავაჭრო ტარიფების თანდათანობით გაუქმებას სამრეწველო საქონელზე, თუმცა საგარეო სავაჭრო ტარიფები არ უქმდებოდა. ამ შეთანხმების მონაწილე ქვეყნები ფიქრობდნენ, რომ ასეთი გაერთიანება მათ საკუთარი პოზიციების გამყარების საშუალებას მისცემდა ევროგაერთიანებას (ევროკავშირთან) და სხვა ორგანიზაციებთან თუ ქვეყნებთან ურთიერთობებში. ამასთან,მისი წევრი სახელმწიფოები ცდილობდნენ თავი შეეკავებინათ საერთო,ინტერნაციონალურ ინსტიტუტებზე დამოკიდებულებისგან, შეენარჩუნებინათ შიდა და გარე სავაჭრო პოლიტიკური ნება.

თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის ძირითადი მმართველობითი ორგანოებია: ასოციაციის საბჭო, სამდივნო და მუდმივი კომიტეტები. ევროპის

თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის მთავარი სამდივნო მდებარეობს ჟენევაში (შვეიცარიაში), ხოლო სტატისტიკური ოფისი მდებარეობს ლუქსემბურგში.

თვეას უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობს თვეას წევრი ქვეყნების ურთიერთობებსა და მათი კანონმდებლობის შესაბამისობას ასოციაცის მიერ მიღებულ შეთანხმებებთან. საბჭო არის ასევე პასუხისმგებელი ასოციაციის ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო საკითხებზე.ის ხელს უწყობს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას მესამე სახელმწიფოებთან, ასევე საბჭო განსაზღვრავს ურთიერთობებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საბჭო, ჩვეულებრივ, იკრიბება წელიწადში ორჯერ, ძირითადად საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. საბჭოს სტრუქტურაში შედის: საპარლამენტო, საკონსულტაციო, ეკონომიკური, მესამე ქვეყნებთან ურთიერთობის, აუდიტორთა, საბიუჯეტო და სხვა კომიტეტები.

მის ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს სამდივნო. სამდივნოს ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი, რომელიც ჰყავს ორი მოადგილე და ერთი თანაშემწე. სამდივნოში დასაქმებულია დაახლოებით 100 თანამშრომელი.

თვეას აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რომელსაც იხდიან წევრი-ქვეყნები მშპ-ის მოცულობის მიხედვით, 2019 წელს გაწერილმა ბიუჯეტმა შეადგინა 23 792 000 მლნ შვეიცარიული ფრანკი (მათ შორის, შენატანები ასე ნაწილდება: ისლანდია (3.72%), ლიხტენშტეინი (1.06%), ნორვეგია (50.27%) და შვეიცარია (44.95%).**(EFTA budget 2019)**

GATT-ის 24 მუხლის თანახმად თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ასოციაცია ახორციელებს თავისუფალ სავაჭრო სივრცეს საქონლის გადაადგილებისთვის. თავდაპირველად კონვენციაში მხოლოდ საქონელზე ვაჭრობის ლიბერალიზაცია განისაზღვრებოდა ამ სექტორში ყველა ტარიფის პროგრესული აღმოფხვრის გზით.წევრ ქვეყნებს შორის ეს შეთანხმება სრულად იქნება მიღწეული 1966 წელს.1972 წელს,დანიისა და დიდი ბრიტანეთის ორგანიზაციიდან გასვლის(რათა შეერთებოდნენ ევროკავშირს) შემდეგ თვეას წევრი ქვეყნები ახორციელებდნენ ინდივიდუალურ სავაჭრო მიდგომებს ევროკავშირთან,რაც ევროკავშირსა და თავისუფალი ვაჭრობის ევროპულ ასოციაციას შორის სამრეწველო საქონელზე ტარფების სრულ ლიკვიდაციას იწვევს1977 წლისთვისგრაფაზე წარმოდგენილია წევრი ქვეყნების გაწევრიანებისა და გასვლის თარიღები.1970 წელს ისლანდიისა და 1991 წელს ლიხტენშტეინის შეერთებით

დღემდე არსებული საბოლოო სახე მიიღო თავისუფალი ვაჭრობის ევროპულმა ასოციაციამ.

ევროპის ეკონომიკური ზონა, (EEA –European Economic Area) დაარსდა 1994 წლის 1 იანვარს თვეას სამი წევრი-ქვეყნის, ისლანდიის, ლიხტენშტეინისა და ნორვეგიის და ევროგაერთიანებების (ევროკავშირის) მიერ, რაც საშუალებას აძლევს თვეას წევრ 3 ქვეყანას შეაღწიონ ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ევროკავშირში გაწევრიანების გარეშე. სანაცვლოდ, ისინი ვალდებულნი არიან, მიიღონ ევროკავშირის ყველა კანონმდებლობა, გარდა სოფლის მეურნეობის და მეთევზეობისა. მართალია, შვეიცარია არის თავოსიფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის წევრი-ქვეყანა, მაგრამ არ არის ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრი. EEA ეფუძნება იმავე ,,ოთხ თავისუფლებას" როგორც ევროკავშირი: საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და ადამიანთა თავისუფალი გადაადგილება. ევროპის ეკონომიკურმა სივრცემ (EEA) მნიშვნელოვნად გაზარდა სავაჭრო–ეკონომიკური ურთიერთობები მხარეებს შორის. მიუხედავად თვეას წევრი-ქვეყნების ზომისა, მათ საერთაშორისო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი პოზიციები უკავიათ. მასზე მოდის მსოფლიო საქონლით ვაჭრობის 1,92%, ხოლო მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობის 2,87%. თვეას სავაჭრო ბრუნვის 70%, მათ შორის ექსპორტის 67,33% და იმპორტის 72,83% მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე. თვეას უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია: გერმანია, გაერთიანებული სამეფო, აშშ, საფრანგეთი, იტალია, ნიდერლანდები, ჩინეთი, შვედეთი, ავსტრია, ბელგია, ესპანეთი, იაპონია, დანია და სხვა.(European Parliament ,Mario Damen / Fernando Garcés de los Fayos)[1]

თვეა აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო თანამეგობრობის წევრ ქვეყანასთან და ცდილობს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების უფრო მეტად გაღრმავებასა და გამარტივებას, ასევე იგი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამჟამად თვეას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს მსოფლიოს 25 ქვეყანსთან (მათ შორისაა: კანადა, ჩილე, ეგვიპტე, მაკედონია, ისრაელი, მექსიკა, სინგაპური, თურქეთი და სხვ.),

[1] Damen, M. (2019, 05). *https://www.europarl.europa.eu/portal/en*. Retrieved from https://www.europarl.europa.eu/factsheets/en/sheet/169/the-european-economic-area-eea-switzerland-and-the-north

მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვა ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით.

**Table 1: EFTA Membership 1960-2013**

| Member States | Accession | Withdrawal |
|---|---|---|
| Austria | 1960 | 1995 |
| Denmark | 1960 | 1973 |
| Finland* | 1986 | 1995 |
| Iceland | 1970 | |
| Liechtenstein | 1991 | |
| Norway | 1960 | |
| Portugal | 1960 | 1986 |
| Sweden | 1960 | 1995 |
| Switzerland | 1960 | |
| United Kingdom | 1960 | 1973 |

* Associate member from 1961 to 1986.

#იხ.თვეას წევრი ქვეყნების ინტეგრაციაში გაწევრიანებისა და გამოსვლის თარიღები(წყარო : EFTA free trade relations , Dimitar Bratanov, 2013 december)

2018 წლისთვის თვეა წარმოადგენს მსოფლიოს მე-12 უმსხვილეს მოვაჭრეს სასაქონლო ნაკადში და მე-7 უმსხვილეს მოვაჭრეს კომერციული მომსახურების ნაკადში.მისი წევრი სახელმწიფოები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ბაზარს როგორ შიდა ისე საგარეო საინვესტიციო სფეროში.შექმნეს უზარმაზარი ქსელი 26 სახელმწიფოს შორის,რომელიც მოიცავს საქონლის თავისუფალ გადაადგილებას.ხოლო მოლაპარაკებების დასკვნით ეტაპამდეა მიყვანილი 37 ქვეყანასთან.

მიუედავად იმისა,რომ თვეა არ წარმოადგენს საბაჟო კავშირს,ისინი როგორც წესი მოქმედებენ როგორც ჯგუფი,რომელიც აერთიანებს მათ ეკონომიკურ და პოლიტიკურ წონას.ასევე ინარჩუნებენ ინდივიდუალურ უფლებას მესამე ქვეყანასთან ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე.შვეიცარიამ დაასრულა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებები იაპონიასა და ჩინეთთან,რომელსაც უკვე აქვს ორმხრივი სავაჭრო შეთანხმება ისლანდიასთან.

თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის შეთანხმებები 3 ეტაპად დაიდო.პირველ ფაზას წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასის გარდამავალ ქვეყნებთან 1990-იან წლებში.ეს ნაბიჯი მთავარ მიზნად ისახავდა კომერციული ინტერესების დაცვას ამ გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკის ეკვივალენტური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.მეორე ფაზად 1995 წელი განიხილება,როდესაც თვეამ „აირეკლა“ ევროკავშირის ინიციატივა ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან მოლაპრაკებების გზით. თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკის მესამე ფაზა 2000-იან წლებში დაიწყო,როდესაც ის გლობალურად წავიდა პარტნიორებთან შეთანხმების მოსაგვარებლად მსოფლიოს გარშემო.ამ მხრივ პირველი შეთანხმებები ჩამოყალიბდა კანადასთან,სინგაპურთან და სამხრეთ აფრიკის საბაჟო კავშირთან (SACU).

ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრი ქვეყნები მნიშნელოვანი შესამლებლობაა ექსპორტისთვის, განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებისთვის. ევროპული ეკონომიკური ზონა აერთიანებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, ნორვეგიას,ისლანდიას და ლიხტენშტეინს.

## თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის მიმოხილვა და შეფასებები

თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია (EFTA) წარმოადგენს მთავრობათაშორის ორგანიზაციას, რომელიც დაფუძნებულია 1960 წელს თვეა- ს კონვენციით, რომლის წევრ ქვეყნებს (დღევანდელი : ისლანდია, ლიხტენშტაინი, ნორვეგია და შვეიცარია) შორის მიმდინარეობს თავისუფალი ვაჭრობისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა ევროპაში და გლობალურად.

თვეა არ ითვალისწინებს პოლიტიკურ ინტეგრაციას. ის არ გამოსცემს კანონმდებლობას, არ ქმნის საბაჟო კავშირს.მისი პირველი მიზანი იყო წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაცია. 1972 წელს, ყველა თვეას წევრი სახელმწიფო მოლაპარაკებათით მიიღეს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გადაწყვეტილება ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობასთან (EEC). ამჟამად, თვეას ქვეყნებში მოქმედებს 29 თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, ან ელოდება რატიფიცირებას, რომელიც მოიცავს მსოფლიოს 40 პარტნიორ ქვეყანას (ევროპის გარეთ).

90-იანი წლების დასაწყისიდან EFTA მდგრადად დგამს ნაბიჯებს თავისუფალი ვაჭრობის საურთიერთო ქსელის გასაფართოვებლად როგორც ევროპაში,ასევე მის გარეთ,რაც განპირობებულია ცივი ომის დასრულებით მიღებული გამოწვევებით,ეკონომიკური გლობალიზაციითა და განვითარებული ეკონომიკის ზრდის მოტივით.

დღეს ეს ქსელი ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო ქსელია მსოფლიოში.მიუხედავად ამისა,თვეა კვლავ აქტიურად ახდენს მოლაპარაკებებს მსხვილ და განვითარებად ეკონომიკებთან არსებული კავშირის გასაფართოვებლად და პერსპექტიული პარტნიორების შესაძენად.მიზეზი იმისა,თუ რატომაა მიმზიდველი თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის ეს ოთხი წევრი ქვეყანა ასეთი მიმზიდველი და წარმატებული გლობალურ დონეზე სავაჭრო ურთიერთობების პერსპექტივით,მრავალფეროვანია.მათ ყავთ მაღალშემოსავლიანი მოსახლეობა და მნიშვნელოვანი აგრეგატული ბაზარი.ჯამურად აღებული თვეას ქვეყნები იკავებენ მეთორმეტე ადგილს ნაკეთობების ვაჭრობის სიმსხვილითა და მეექვსე ადგილს მომსახურებით.ეს ქვეყნები ასევე გამოირჩევიან საზღვარგარეთ ჩადებული ინვესტიციების სიდიდეში და ამ მხრივ მსოფლიო მასშტაბით მესამე ადგილს იკავებენ.( Aurelia Frick[2])

მოქნილობა და პრაგმატიზმი-EFTA-ს ამ ტრადიციულ ფასეულობებს სრულად იზიარებს საპარლამენტო კომიტეტი,საკონსულტაციო ორგანო,რომელშიც წევრი ქვეყნებიდან სულ მცირე ორჯერ მაინც ხდება მოწვევა.წარსულში თვეას შიდა ორგანოების დისკუსიებსა და განხილვებს მეტწილი დრო ეთმობოდა ევროპულ საკითხებს,თუმცა ბოლო დროს პრიორიტეტები მსოფლიო გლობალიზაციისკენაა მიმართული.თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის შეთანხმება პრეამპულაში მოიცავს თავის პრინციპებს,ხაზგასმით ადასტურებენ და მხარეებს მოუწოდებენ დემოკრატიისკენ,ჰუმანური მმართველობისა და ადამიანის უფლებების დაცვისკენ გაეროს განსაზღვრული დეკლარაციის შესაბამისად,ფუნდამენტური უფლებების და პრინციპების პატივისცემა შრომის ბაზარზე,რომელიც დადგენილია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციით.ასევე დიდი მნიშვნელობა ექცევა

[2] Bratanov, D. (2013). THE ROLE OF EFTA'S THIRD-COUNTRY POLICY. *EFTA FREE TRADE RELATIONS* , 6.

ცხოველთა დაცვის,მცენარეთა სიჯანსაღისა და ამოწურვადი ბუნებრივი რესურსების საკითხებს.

ხშირად დავის საგანი ხდებახოლმე არსებული ეკონომიკური-სავაჭრო გაერთიანებები და რთულად სათქმელია რამდენად მომგებიანი ნაბიჯია ქვეყნისთვის არსებულ ატმოსფეროში გაერთიანება,ერთის მხრივ შეიძლება მოუწიოს ინდივიდუალური ეკონომიკური მიდგომების დათმობა,ხოლო მეორეს მხრივ გაწევრიანებით ქვეყანა თავის მხრივ იღებს შესაბამის პასუხისმგებლობას.როგორც ეკონომისტთა უმრავლესობა მიიჩნევს მსგავსი სავაჭრო გაერთიანებები მეტწილად პატარა და განვითარებადი ეკონომიკებისთვისაა ხელსაყრელი,ხოლო განვითარებულ სახელწიფოების ხშირ შემთხვევაში „ტვირთად აწევს“.თავისუფალი ევროპული ასოციაციის სავაჭრო შეთანხმებებით არსებულ მსოფლიო ბაზარზე საექსპორტო და საიმპორტო მნიშნელობის სავაჭრო მახასიათებლებს ნორვეგიის საწარმოო ფედერაციის დირექტორი და EFTA-ს საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარე ზემოთაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საკუთარ შეხედულებებს შემდეგნაირად გვიზიარებს : „ეჭვგარეშეა,რომ საგარეო ვაჭრობა მომგებიანია.ეს არის ფუნდამენტური წინაპირობა გაიზარდოს ეკონომიკა და კეთილდღეობა.ეს ფართოდ აღიარებული ფაქტია და უკვე დამტკიცებულია როგორც ეკონომიკური თეორიებით,ისე პრაქტიკული გამოცდილებით.ეს ერთ-ერთი მთავარი მოტივაციაა თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის დაფუძნებისა და მისი არსებობის გაგრძელების.ხშირად ბაზრის ექსპორტზე ერიენტირება და ბიზნესის მზაობა გვაძლევს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების მოტივაციას,თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს,რომ იმპორტიორებისთვის თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი არანაკლებ მნიშვნელოვანია.ამ შეთანხმებებს წინაპირობა გრძელვადიანი ურთიერთობებია პროგნოზირებად და სტაბილურ სავაჭრო პლატფორმაზე. “ - Thomas Angell[3]

[3] Angell, T. (2013). The Importance of the Long-. *EFTA FREE TRADE RELATIONS*, 33.

## თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის ამჟამინდელი და სამომავლო პარტნიორები

თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის წევრი ქვეყნები სისტემარიურად აწარმოებენ მოლაპარაკებებსა და შეთანხმებებს ქვეყნებთან ევროკავშირის გარეთ,რათა გაზარდონ საკუთარი კონკურენტუნარიანი პოზიციები და თავიანთი საბაზრო პროდუქციის ხელმისაწვდომობა.შედეგად თვეას ეკონომიკური ოპერატორები სარგებლობენ არა მხოლოდ ევროკავშირის ბაზრით,არამედ უზარმაზარი მასშტაბით,რომელიც ფაქტიურად მოიცავს მთლიანი მსოფლიოს უდიდეს ნაწილს.2019 წლის მონაცემებით ევროკავშირის წევრი ქვეყნების გარდა თვეას თავისუფალი ვაჭრობა მოიცავს 29 დადებულ შეთანხმებასა და 40 ქვეყანას.

ევროპა

1.ალბანეთი (2011 წლის 1-ლი აგვისტოდან)

2. ბოსნია ჰერცოგინია (2013 წლის 24 ივნისიდან)

3.საქართველო (2018 წლის 1-ლი მაისიდან)

4.მაკედონია (2002 წლის 1-ლი მაისიდან)

5.მონტენეგრო (2012 წლის 1-ლი ნოემბტიდან)

6.სერბეთი (2011 წლის 1-ლი ოქტომბრიდან)

7.თურქეთი (2018 წლის 25 ივნისიდან)

8.უკრაინა (2012 წლის 1-ლი ივნისიდან)

აფრიკა (ახლო აღმოსავლეთ)

9.ეგვიპტე (2007 წლის 1-ლი აგვისტოდან)

10.სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭო (2014 წლის 1-ლი ივლისიდან)

11.ისრაელი (2018 წლის 22 ნოემბრიდან)

12.იორდანია (2002 წლის 1-ლი სექტემბრიდან)

13.ლიბანი (2007 წლის 1-ლი ივლისიდან)

14.მაროკო (1999 წლის 1-ლი ივლისიდან)

15.პალესტინა (1999 წლის 1-ლი ივლისიდან)

16.სამხრეთ აფრიკის საბაჟო კავშირი (2008 წლის 1-ლი მაისიდან)

17.ტუნისი (2005 წლის 1-ლი ივლისიდან)

ამერიკა

18.კანადა (2009 წლის 1-ლი ივლისიდან)

19.ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოები (კოშტა რიკა,გვატემალა,პანამა) (2014 წლის

5 სექტემბერიდან)

20.ჩილე (2004 წლის 1-ლი დეკემბერიდან)

21.კოლუმბია (2014 წლის 1-ლი ოქტომბერიდან)

22.ეკვადორი (2018 წლის 25 ივნისიდან)

23.მექსიკა (2001 წლის 1-ლი ივლისიდან)

24.პერუ (2012 წლის 1-ლი ივლისიდან)

აზია

25.ჰონგ კონგი,ჩინეთ (2012 წლის 1-ლი ნოემბრიდან)

26.ინდონესია (2018 წლის 16 დეკემბრიდან)

27.კორეა (2006 წლის 1-ლი ოქტომბერი)

28.ფილიპინები (2018 წლის 24 ოქტომბერი)

29.სინგაპური (2003 წლის 1-ლი იანვარი)

თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის წევრი ქვეყნები ამჟამად სისტემარიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ ალჟირთან, ბელარუსთან, ჰონდურასთან, ყაზახეთთან,რუსეთთან,ტაილანდთან,ინდოეთთან,მალაიზიასთან,ვიეტნამთან და სამხრეთის საერთო ბაზართან( MERCOSUR),რომელის წევრებიც არიან არგენტინა, ბრაზილია,პარაგვაი და ურუგვაი.მათ შორის უმეტეს საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმება მიღწეულია ინდოეთთან,მალაიზიასთან,ვიეტნამთან და სამხრეთის საერთო ბაზართან.აღსანიშნავია,რომ მოლაპარაკებს მზარდი პროცესი აქვს და თავის მხრივ თვეა ამ მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შემთხვევაში თავისი სავაჭრო ბაზრის არეალს დაახლოებით 1.7 მილიარდი შეემატება შეთანხმებამიღწეული ქვეყნების მოსახლეობის სახით.[4]

[4] Zbinden, M. (2019). *Free Trade Agreements*. Retrieved from https://www.efta.int/: https://www.efta.int/Free-Trade/Free-Trade-Agreements-510711

## ნორვეგია

ნორვეგია ჩრდიელოეთ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ეკონომიკურად მზარდი ქვეყანაა.მისი საერთო ფართობი 385 252 კვადრატული კილომეტრია,ხოლო მოსახლეობა 5,3 მილიონია და ყოველწლიურად იზრდება.მშპ ერთ სულ მოსახლეზე 60,000 $ ,უმუშვერობის მაჩვენებელი 3,9 %.ასევე აღსანიშნავია,რომ ადამიანური განვითარების ინდექსის (Human Development Index–2016) რეიტინგებში მსოფლიოში ნორვეგია პირველ ადგილზეა, ასევე მოწინავე პოზიციები უკავიათ თვეა-ს სხვა ქვეყნებს ნოერვეგია თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის წევრი 1960 წლიდან მოყოლებულია და ის მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებს ეკუთვნის.ეკონომიკური ზრდის შემცირება გამოწვეულია ნავთობის მრეწველობაში არსებული სიტუაციიდან,რომელიც ნორვეგიის ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი სვეტია.ნორვეგიაში შესაძლებელია საქონლის თითქმის ყველა სახეობის იმპორტირება შეზღუდვების გარეშე.საიმპორტო ლიცენზიები აუცილებელია ისეთ სახეობებზე,როგორებიცაა საკვები,სოფლის მეორნეობის ნაწარმი,იარაღები და რეგისტრირებული გემები.ნორვეგიის პორტი ცნობილია როგორც უფასო სავაჭრო ზონა და სატრანზიტო საწყობები.საკვებისა და ცოცხალი ცხოველების გარდა,ყველა საქონელზე მოქმედებს თავისუფალი რეჟიმი ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან ნორვეგიაში ექსპორტირებაზე.მზა საკვებზე,ხორცპროდუქტებზე,თაფლზე და სხვა ნაწარმზე იმპორტირების დროს მოქმედებს ეგრეთწოდებული სააუქციონო სისტემა,რაც ნიშნავს იმას,რომ იმპორტიორები თითოეულ პროდუქტზე ინტერნეტის საშუალებით იღებენე კვოტებს.




#ის

.ნორვეგიის სავაჭრო დინამიკა 2002-2017( წყარო : თვეას ოფიციალური ვებ გვერდი ,http://www.efta.int/statistics/sources-for-more-statistics)

ნახაზზე ნაჩვენებია ნორვეგიასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა 2002 წლიდან 2017 წლის ჩათვლით.საერთო იმპორტი ბოლო მონაცემებით შეადგენს 73 120 ხოლო საერთო ექსპორტი ბოლო მონაცემებით 90 426 მილიონ ევროს.სტატისტიკური მონაცემების თანახმად ბოლო 5 წლის მანძილზე საიმპორტო ზრდამ დაახლოებით 2% შეადგინა,ხოლო საექსპორტომ -6,2.ამასთან 2002-2017 წლებში ნორვეგიის ექსპორტმა ყველაზე დიდ მნიშნელობას 2012 წელს მიაღწია და 125 040 მილიონ ევროს გაუტოლდა,ხოლო იმპორტის ნიშნულმა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2017 წელს შეადგინა და 73 120 მილიონ ევროს მიაღწია.დეტალური განხილვა :

2017 წ. ექსპორტი (90 426)

- მინერალური საწვავი და ნავთობი 51 710 მილიონი
- თევზი და კიბორჩხალისებრი 9 787 მილიონი
- მანქანები და მექანიკური მოწყობილობები 3 572 მილიონი
- ალუმინი და მისი ნაწარმი 3 541 მილიონი
- ელექტრო მოწყობილობები 2 372
- სხვა 19 444

2017 წ. იმპორტი (73 120)

- მანქანები და მექანიკური მოწყობილობები 8 768 მილიონი
- სატრანსპორტო საშუალებები გარდა რკინიგზისა 8 610 მილიონი
- ელექტროტექნიკა 6 541 მილიონი
- რკინა და პოლადის პროდუქცია 5 794 მილიონი
- ბუნებრივი საწვავი და ნავთობი 3 279 მილიონი
- სხვა 40 156 მილიონი

## შვეიცარია

ისევე როგორც ნორვეგია,შვეიცარიაც 1960 წლიდანაა გაწევრიანებული თავისუფალი ვაჭრობის ევროპულ ასოციაციაში და შედის უმდიდრესი ქვეყნების სიაში.შვეიცარიის ფართობი 41 285 კვადრატული კილომეტრია,ხოლო მოსახლეობა 8 მილიონზე მეტი,მშპ ერთ სულ მოსახლეზე 45 000$.

შვეიცარია ძირითადად წარმოადგენს დამატებითი ღირებულების წარმოების ქვეყანას.წარმოადგენს მსოფლიოს ერთ-ერთ ლიდერ ქვეყანას ინოვაციებსა და კონკურენტუნარიანობაში.როგორც თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ასოციაციის წევრი,წარმოადგენს ეროკავშირის მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორს,თუმცა არაა ევროპის ეკონომიკური ზონის წევრი.ამის მიუხედავად,შვეიცარიაში შეტანილი საქონლის მხოლოდ რამდენიმე სახეობა მოითხოვს ავტორიზაციას(მაგ. ალკოჰოლი,შაქარი,ღვინო,ხორცი და სამხედრო ტექნიკა).ბაზარზე შესვლის ერთ-ერთ ყველაზე მარტივ და პერსპექტიულ მეთოდს წარმოადგენს პროდუქციული თანამშრომლობა,უშუალოდ შვეიცარიელი ეკონომიკური აგენტებისა და ინვესტორების მოძებნა.შვეიცარიის ბაზარი საკმაოდ დატვირთულია კონკურენტუნარიანობით,ამიტომაც საბაზრო ხარისხის დონის მიხედვით მაღალ საფეხურზე მდგომ სახელმწიფოდ ითვლება.ნახაზზე განხილულია შვეიცარიისა და დანარჩენი მსოფლიოს




#იხ.შვეიცარიის საგარეო სავაჭრო დინამიკა 2002-2017 ( წყარო : თვეას ოფიციალური ვებ გვერდიhttp://www.efta.int/statistics/sources-for-more-statistics)

იმპორტ-ექსპორტის დიაგრამა დინამიკაში 2002 წლიდან 2017 წლის ჩათვლით.საერთო იმპორტი ბოლო მონაცემებით შეადგენს 166 960 მილიონ ევროს,ხოლო საერთო ექსპორტი 198 453 მილიონ ევროს.ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იმპორტის საშუალო ზრდამ 3.7% შეადგინა,ხოლო ექსპორტის საშუალო ზრდამ 5%.2002-2017 წლების მანძილზე შვეიცარიის იმპორტმა ყველაზე დიდ ნიშნულს ბოლო,2017 წელს მიაღწია და ზეამოაღნიშნულ 198 453-ს გაუტოლდა,ანალოგიური შემთხვევა დაფიქსირდა ექსპორტზეც. დეტალური განხილვა(**შვეიცარიისა და ლიხტენშტეინის საბაჟო კავშირის გამო ლიხტენშტეინის ვაჭრობა შედის შვეიცარიაში**) :

2017 წ. ექსპორტი(198 453)

- ფარმაცეფტული ნაწარმი 62 375 მილიონი
- მანქანები და მექანიკური მოწყობილობები 21 001 მილიონი
- კედლისა და მაჯის საათები 17 911 მილიონი
- ორგანული ქიმიკატები 17 645
- ოპტიკური,სამედიცინო და ქირურგიული ინსტრუმენტები 14 226 მილიონი
- სხვა 65 296 მილიონი

2017 წ. იმპორტი (166 960)

- ფარმაცევტული ნაწარმი 25 477 მილიონი
- მანქანები და მექანიკური მოწყობილობები 16 689 მილიონი

- სატრანსპორტო საშუალებები გარდა რკინიგზისა 13 291 მილიონი
- ელექტრო მოწყობილობები 12 535 მილიონი
- ძვირფასი ქვები და ლითონები 10 574 მილიონი
- სხვა 88 394 მილიონი

## ისლანდია

ისლანდია თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის წევრს 1970 წლიდან წარმოადგენს.მისი ფართობი 103 000 კვადრატული კილომეტრია,მოსახლეობა 340 110 ათასი ადამიანია,ხოლო მშპ ერთ სულ მოსახლეზე 38 620 $-ს შეადგენს.ისლანდია ევროპის თავისუფალი ზონის წევრია და მისი ბაზარი ღიაა.ერთადერთ რეგილირებად ფაქტორებს საკვები და ალკოჰოლი წარმოადგენს.

**#იხ.შვეიცარიის საგარეო სავაჭრო დინამიკა 2002-2017 წლებში**

(http://www.efta.int/statistics/sources-for-more-statistics)




ასევე ევროპული ზონის ხელშეკრულებით ისლანდია ლიბერალიზებულ ტერიტორიას წარმოადგენს.ისლანდიური გამოცდილების მიხედვით,მის ბაზარზე შესვლის საუკეთესო საშუალება ისლანდიის მოქალაქესთან ,კერძო ან რომელიმე ეკონომიკურ აგენტთან საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებაა.ნახაზზე წარმოდგენილია ისლანდიისა და დანარჩენი მსოფლიოს ექსპორტ-იმპორტის დინამიკა 2002 წლიდან 2017 -ის ჩათვლით.ბოლო წლის მონაცემებით საერთო იმპორტი 6 185 მილიონს,ხოლო ექსპორტი 4 316 მილიონს შეადგენს.ამასთან ბოლო 5 წლის მანძილზე

იმპორტის საშუალო ზრდა 13,1% და ექსპორტის საშუალო ზრდა 3,4%-ია.2002-2017 წლებში ისლანდიის იმპორტის მაჩვენებელმა ყველაზე დიდ ნიშნულს 2017 წელს მიაღწია და 6 185 მილიონს გაუტოლდა,ხოლო ექსპორტმა 2015 წელს და 4 296 მილიონი შეადგინა.დეტალური განხილვა :

2017 წ. ექსპორტი (4 136)

- ალუმინი და მისი ნაწარმი 1 780 მილიონი
- თევზი და კიბორჩხალისებრი 1 451 მილიონი
- ცხოველთა საკვები და სამრეწველო საკვების ნარჩენები 154 მილიონი
- რკინა და ფოლადი 129 მილიონი
- ოპტიკური,სამედიცინო,ქირურგიული ინსტრუმენტები 126 მილიონი
- სხვა 677 მილიონი

2017 წ. იმპორტი (6 185)

- სატრანსპორტო საშუალებები გარდა რკინიგზის 821 მილიონი
- მინერალური საწვავი და ნავთობი 688 მილიონი
- ელექტროტექნიკა 686 მილიონი
- მანქანები და მექანიკური მოწყობილობები 604 მილიონი
- არაორგანული ქიმიკატები 575 მილიონი
- სხვა 2 811 მილიონი

## ლიხტენშტეინი

თავისუფალი ვაჭრობის ევროპულ ასოციაციას ყველაზე ბოლოს ლიხტენშტეინი შეუერთდა 1991 წელს.ის დასავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პატარა,ზღვაზე გასასვლელის არმქონე ქვეყანაა.მისი ფართობი 160.4 კვადრატული კილომეტრია,ხოლო მოსახლეობა 37 365 ადამიანი, ამასთან მშპ ერთ მოსახლეზე 53 150 $-ს შეადგენს.ისლანდია მაღალგანვითარებული სამრეწველო სახელწმიფოა,რომელიც შვეიცარიასთან დაკავშირებულია,როგორც სხვილი სავაჭრო პარტნიორი.მისი ძირითადი სარგებელი მდებარეობაა და ტერიტორიულად ახლოსაა ისეთ ქვეყნებთან როგორებიცაა გერმანია,ავსტრია და შვეიცარია.ლიხტენშტეინში სალიცენზიო

მოთხოვნები აუცილებელ პირობას წარმოადგენს,თუმცა სპეციალური პირობები ვრცელდება ბანკებზე,სადაზღვეო კომპანიებსა და საინვესტიციო ფირმებზე.ლიხტენშტეინი ევროპული ეკონომიკური ზონის წევრია და ამავდროულად ინარჩუნებს იმპორტის შეზღუდვებსა და იმპორტზე ნებართვებს კონკრეტულ სფეროებზე.დაცულ სფეროებს წარმოადგენს : სამხედრო ტექნიკა ,აგრარული პროდუქტები,ხორცი,ღვინო,ყვავილები და სხვა.

## თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია და ევრო კავშირი

1960-იანი წლების განმავლობაში ახლად ჩამოყალიბებული თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია ინტენსიურად ცდილობდა ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნას.ამის შესახებ თვეამ არაერთი შეთავაზება და განცხადება გაუგზავნა ევროკომისიას,თუმცა ევროკომისიისთვის გამოწვევა,რომ შეექმნათ ევროპის საზოგადოება,თვეასა და მის წევრ სახელწმიფოებს აღიქვამდა,როგორც კონკურენტებს.

მსგავსმა შეხედულებამ მხოლოდ 1973 წლამდე გასტანა და შემდგომ ურთიერთობა თანდათანობით შეიცვალა.თვეასა და ევროკავშირის ურთიერთობა შეიძლება დაიყოს 5 ეტაპად.პირველი ეტაპი განიხილება 1960 წლიდან 1972 წლამდე და ეს პერიოდი დამახასიათებელია იმით,რომ მათ არანაირი ურთიერთობა ერთმანეთთან არ დაუჭერიათ.ეს ფაზა დასრულდა თვეას წევრი ორი ქვეყნის ,ინგლისისა და დანიის გაწევრიანებით ევროპის კომისიაში 1973 წლის 1-ლი იანვრიდან და თავისუფალი ვაჭრობით ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობასა და ევროპის ქვანახშირისა და ლითონის საზოგადოების წარმომადგენლებს შორის.

მეორე ეტაპი გაგრძელდა 1973 წლიდან 1983 წლამდე და ხასიათდებოდა თავისუფალი ვაჭრობის გარკვეული შეთანხმებების მიღწევით.სრული თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი მიღწეულ იქნა 1983 წელს.

მესამე ეტაპი დაიწყო 1984 წელს,რომელიც აღინიშნა სამინისტრო შეხვედრით თვეასა ევროკომისიის მინისტრებს შორის ლუქსემბურგში,სადაც ხელი მოეწერა სპეციალურ დეკლარაციას შეექმნათ დინამიური ევროპული ეკონომიკური სივრცე,რომელსაც

შემდგომ ლუქსემბურგის დეკლარაცია უწეოდეს.ეს იყო პირველი შემთხვევა,როდესაც თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის წევრი ქვეყნები ერთობლივად და მრავალმხრივ მოქმედებდნენ ევროკომისიასთან ერთად.

მეოთხე ეტაპად შეგვიძლია მივიჩნიოთ 1989 წლიდან 1993 წლამდე პერიოდი,როდესაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები თვეასა და ევროპული ვაჭრობის ზონას შორის.მნიშვნელოვანი ინიციატივა მიიღო ევროკომისიის პრეზიდენტმა, ჟაკ დელორსმა,1989 წლის დასაწყისში,რომელსაც მოჰყვა ინტენსიური მოკვლევა და მოლაპარაკებები.შეთანხმების მიღწევას ორ წელზე ნაკლები დასჭირდა და დასრულდა 1992 წლის 2 მაისს შეთანხმებაზე ევროპის ეკონომიკური ზონის ხელმოწერით.

შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე დაიწყო მეხუთე ფაზა შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე (1994 წლის 1-ლი იანვარი ).ამჟამად თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის ყველაზე მსხვილ პარტნიორს ევროკავშირი წარმოადგენს.[5]




**ის. თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციისა და ევრო კავშირის ვაჭრობის დინამიკა** ( წყარო : თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის ოფიციალური ვებ გვერდი [https://www.efta.int/free-trade/trade-statistics](https://www.efta.int/free-trade/trade-statistics))

---

[5] Johansson, S. N. (2016). The Development of the EFTA–EU Relationship. *The History of the EEA Agreement and the First Twenty Years of Its Existence*, 4.

გრაფიკზე ჩანს,რომ თვეასა და ევრო კავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობები 2004 წლიდან 2014 წლამდე ჯამში საშუალოდ 450 მილიარდ დოლარამდე მერყეობს,საიდანაც თვეას წევრი ქვეყნების ექსპორტი 250 მილიარდ დოლარამდეა,ხოლო იმპორტი 200 მილიარდამდე აღწევს.ამასთან თუ განვიხილავთ თვეას წევრ ქვეყნებს სათითაოდ და მათთან ევრო კავშირის ვაჭრობას,ყველაზე მცირე წილი ისლანდიას ხვდება,რომელიც იმპორტით 2.4 მილიარდით,ხოლო ექსპორტი - 3.6 მილიარდით შემოიფარგლება.უნდა აღინიშნოს,რომ ნორვეგიის ექსპორტი ევრო კავშირში ორჯერ აღემატება ასევე ნორვეგიის იმპორტს ევრო კავშირთან(იმპორტი 56.3 მილიარდი,ექსპორტო 115.8 მილიარდი).გამომდინარე იქიდან,რომ შვეიცარიასა და ლიხტენშტეინს საბაჟო კავშირი აქვთ,შვეიცარიის ექსპორტ-იმპორტი მოიცავს ლიხტენშტეინის სავაჭრო მონაცემებსაც.ჯამში მათი ექსპორტი შეადგენს 130.7 მილიარდს,ხოლო იმპორტი 146.5 მილიარდ დოლარს .

2018 წლის მონაცემებით თვეასა და ევრო კავშირს შორის ბრუნვა ჯამში 365 025 მილიონ ევროს აღწევს,საიდანაც **იმპორტს** 171 135 მილიონ ევროს შეადგენს:

ფარმაცევტული პროდუქცია - 21 111 მილიონი ევრო

მანქანები,მექანუკური ტექნიკა - 18 868 მილიონი ევრო

ავტომობილები - 17 651 მილიონი ევრო

ელექტო ტექნიკა - 10 699 მილიონი ევრო

მინერალური საწვავი,ზეთი - 10 162 მილიონი ევრო

სხვა 92 643 მილიონი ევრო.

**ექპორტი** 193 889 მილიონი ევრო

მინერალური საწვავი,ზეთი - 61 316 მილიონი ევრო

ფარმაცევტული პროდუქცია - 26 061 მილიონი ევრო

მანქანები,მექანიკური ტექნიკა - 13 832 მილიონი ევრო

ორგანული ქიმიური ნაწარმი - 12 500 მილიონი ევრო

ოპტიკური,სამედიცინო და ქირურგიული ინსტუმენტები - 8 127 მილიონი ევრო

სხვა - 72 054 მილიონი ევრო.

თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის დაარსებიდან მოყოლებული არაერთი ევროკავშირის წევრი ქვეყანა ყოფილა მის შემადგენლობაში,სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით საინტერესოა,თუ კონკრეტულად რომელ ქვეყანებთან,მათ შორის ევრო კავშირის რომელ ქვეყნებთანააქვთ ყველაზე ხშირი და მსხვილი სავაჭრო ურთიერთობები.

ევრო კავშირი თავისუფალი ვაჭროების ევროპული ასოციაციის ყოველი წევრის ყველაზე მნიშვნელოვანი პარნიორია. ამის წარმოსადგენად ცხრილში წარმოდგენილია თვეას წევრი თვითოეული ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის წილი 5 ყველაზე მსხვირ პარნიორთან.

| თვეას Top 5 პარტნიორი | იმპორტი | | ექსპორტი | |
|---|---|---|---|---|
| | პარტნიორი | წილი | პარტნიორი | წილი |
| **ისლანდია** | გერმანია | 10.8% | ჰოლანდია | 25.4% |
| | ნორვეგია | 9.4% | ესპანეთი | 13.5% |
| | ჩინეთი | 7.2% | ინგლისი | 9.4% |
| | ჰოლანდია | 6.8% | გერმანია | 7.6% |
| | ინგლისი | 5.8% | აშშ | 7.0% |
| | ჯამი | **39.9%** | ჯამი | **63.0%** |
| | დანარჩენი მსოფლიო | 60.1% | დანარჩენი მსოფლიო | 37.0% |
| **ლიხტენშტეინი** | გერმანია | 37.0% | გერმანია | 23.1% |
| | ავსტრია | 24.1% | აშშ | 13.9% |
| | ჩინეთი | 7.3% | ავსტრია | 10.7% |
| | აშშ | 5.8% | საფრანგეთი | 8.1% |
| | იტალია | 3.7% | ჩინეთი | 4.8% |
| | ჯამი | **78.0%** | ჯამი | **60.6%** |
| | დანარჩენი მსოფლიო | 22.0% | დანარჩენი მსოფლიო | 39.4% |
| ნორვეგია | შვედეთი | 11.5% | ინგლისი | 21.1% |
| | გერმანია | 11.1% | გერმანია | 15.5% |
| | ჩინეთი | 9.8% | ჰოლანდია | 9.9% |
| | აშშ | 6.8% | შვედეთი | 6.6% |
| | სამხრეთ კორეა | 6.8% | საფრანგეთი | 6.4% |
| | ჯამი | **46.0%** | ჯამი | **59.6%** |
| | დანარჩენი მსოფლიო | 54.0% | დანარჩენი მსოფლიო | 40.4% |
| შვეიცარია | გერმანია | 20.6% | გერმანია | 15.2% |
| | აშშ | 8.1% | აშშ | 12.3% |
| | იტალია | 7.5% | ჩინეთი | 8.2% |
| | ინგლისი | 7.3% | ინდოეთი | 6.7% |
| | საფრანგეთი | 6.7% | საფრანგეთი | 5.7% |
| | ჯამი | **50.1%** | ჯამი | **48.0%** |
| | დანარჩენი მსოფლიო | 49.9% | დანარჩენი მსოფლიო | 52.0% |

იხ. თვეას წევრი ქვეყნების ექსპორტ-იმპორტის წილი 5 ყველაზე მსხვილ პარნიორთან ( წყარო : efta official , Trade in Goods and Trading Partners of EFTA Member States 2017, https://www.efta.int/Statistics/news/Trade-Goods-and-Trading-Partners-EFTA-Member-States-2017-509571)

ნახაზზე ყვითელი ფერით აღნიშნული ქვეყნები წარმოადგენენ ევრო კავშირის წევრ ქვეყნებს,ცისფერი ფერით აღნიშნული ქვეყნები - თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის წევრ ქვეყნებს,წითლად აღნიშნული - თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება დადებულ ქვეყნებს,ხოლო მწვანედ ბილეტარული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმებულ ქვეყნებს.

აღსანიშნავია რომ ოთხივე ქვეყნის ძირითად ექსპორტ-იმპორტიორ ქვეყნებს ევრო კავშირის წევრი ქვეყნები წარმოადგენენ.მათ შორისაა ისეთი ქვეყნები,როგორებიცაა ინგლისი, იტალია, საფრანგეთი, ავსტრია, გერმანია, ჰოლანდია, შვედეთი და ესპანეთი, ამათგან თითქმის ყველა შემთხვევებში მოწინავე პოზიციას იკავებს გერმანია.

ამასთან თუ განვიხილავთ ფართო ჭრილში ჩამოვწერთ თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის სავაჭრო ბრუნვას პარნიორ ქვეყნებთან 1995 წლიდან 2018 წლის ჩათვლით,შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდება(წყარო : ევროპის სტატისტიკის სამსახური,ოფიციალური ვებ გვერდი : https://ec.europa.eu/eurostat/data/database) :

**შვეიცარიასთან** : რიცხვები აღებულია ევროში

1.გერმანია (48,948,321,300 )
2.ინგლისი (22,633,791,897)
3.აშშ - (18,164,883,528)
4.იტალია (17,930,068,770)
5.საფრანგეთი (16,663,707,211)
6.ჩინეთი (12,511,873,744)
7.არაბეთი(8,840,679,675)
8.ირლანდია (7,427,503,981)
9.ავსტია (7,309,801,154)
10.ჰოლანდია (4,810,160,890)
11.ესპანეთი (4,625,726,991)
12.ბელგია (4,326,396,941)
13.იაპონია (3,631,301,145)
14. ჰონკონგი (3,423,323,968 )
15.სინგაპური (2,317,816,298 )
16.ტაილანდი (2,239,448,804)
17.ჩეხეთი (2,229,006,167)
18.უზბეკეთი (2,080,276,960)
19.პოლონეთი (2,075,513,819)
20.თურქეთი( 2,064,711,771)

**ისლანდიასთან:**

1.ნორვეგია (740,986,649 )
2.ჩინეთი (571,311,095)
3.გერმანია (558,360,462)
4.აშშ (447,953,207)
5.ჰოლანდია (402,882,107)
11.ბრაზილია (188,787,403)
12.საფრანგეთი (160,481,046)
13.პოლონეთი (148,900,313)
14.იაპონია (126,291,450)
15.სინგაპური (106,972,670)

6.დანია (351,720,075)
7.ინგლისი (328,521,731)
8.ავსტრალია (283,708,751)
9.შვედეთი (275,153,191)
10.იტალია (190,732,525)
16.ესპანეთი (92,455,669)
17.კანადა (92,142,021)
18.იამაიკა (86,491,800)
19.ბელგია (80,123,164)
20.ლიტვა (68,100,463)

**ლიხტენშტეინთან:**

1.გერმანია (642,912,801)
2.ავსტრია (390,826,134)
3.ჩინეთი (136,278,633)
4.აშშ (111,981,870)
5.იტალია (74,059,002)
6.უნგრეთი (34,697,876)
7.ინგლისი (29,516,362)
8.საფრანგეთი (28,308,143)
9.იაპონია (27,542,622)
10.პოლონეთი (23,961,303)
11.ჰოლანდია (23,408,777)
12.სლოვაკეთი (23,400,814)
13.ჩეხეთი (18,289,273)
14.ფილიპინები (18,058,799)
15.ტაივანი (16,461,517)
16.ინდოეთი (13,606,366)
17.სამხრეთ კორეა (13,095,094)
18.ფინეთი (10,075,970)
19.სერბეთი (9,770,539)
20.ბელგია (9,045,791)

## თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცა და ევრო კავშირი - 21-ე საუკუნის გამოწვევები

უკვე ორი ათწლეული გავიდა, რაც თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის ოთხივე წევრს არ მიუღია ერთობლივი მიდგომა,როდესაც საქმე ეხება ევრო კავშირთან ვაჭრობას.

თვეას სამი წევრი -ნორვეგია,ისლანდია და ლიხტენშტეინი -ასევე არიან ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრები,რაც მათ საშუალებას აძლევს ევრო კავშირთან ერთიან ბაზარზე შევიდნენ. მაგრამ მეოთხე ქვეყანა,შვეიცარია უკვე რამდენიმე წელია უარს ამბობს მის წევრობაზე,რაც ქვეყნის სხვადასხვა ინტერესებს მოიცავს.შვეიცარიამ ეს მარშრუტი აიღო მას შემდეგ,რაც 1992 წლის რეფერენდუმზე მისმა ამომრჩეველმა ევროპის ეკონომიკურ ზონაში შესვლაზე უარი თქვა.

უკვე 20 წელზე მეტია ევროპის ეკონომიკური ზონის შეთანხმება ძალაში შევიდა და შესაბამისად თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის წევრები სხვადასხვა გზას გადიოდნენ ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობისთვის.სპეციალისტების ნაწილის აზრით სწორედ ეხლაა შესაფერისი მომენტი,საჭიროა მოქმედება ,სანამ მიმდინარე სავაჭრო პროცესები ჯერ კიდევ ფუნქციონირებს,რათა შეძლონ და გააუმჯობესონ ყველა წევრის კეთილდღეობა.ევრო კავშირი მხარს უჭერს თვეას წევრ ქვეყნებთან სავაჭრო კავშირების განხილვას,მათ გამარტივებას და „საერთო ქოლგის“ ქვეშ ყოფნას.

ბრიუსელიდან შვეიცარიას შესთავაზეს ევროპის ეკონომიკურ ზონაში გაერთიანება,თუმცა როგორც ჩანს,ამ წინადადებას შვეიცარიის პოლიტიკოსებისა და ამომრჩევლებისგან ლეგიტიმაცია არ აქვს.ბრიუსელი ასევე ისაუბრა თვეა/ევრო კავშირის ქვეყნებზე,რომლებიც მიიღებენ პირდაპირ უფლებამოსილებას ევროკავშირის ინსტიტუტების მხრიდან,რაც მათი კიდევ ერთი ინიციატივაა თვეას ქვეყნებისთვის.უფრო მეტიც,როგორც ჩანს თვეას არცერთი ქვეყანა არ აპირებს ევროკავშირის წევრობას უახლოეს მომავალში.

თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციისა და ევროკავშირის ინტერესების გატარება ურთიერთშეთანხმებით ბევრად უკეთესი იქნება გრძელვადიან რეფორმირებულ ურთიერთობებში,რაც ხელს უწყობს ყველასთვის სიტუაციის გამარტივებას.ბოლო წლებში თვეამ და ევროკავშირმა გაზი გაუსვა ე.წ. მეორე თაობის

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების აუცილებლობას.ევრო კავშირმა მსგავსი შეთანხმება უკვე დადო სამხრეთ კორეასა და კანადასთან,ხოლო მიმდინარეობს საუბრება ამერიკის შეერთებულ შტატებთან.მეორეს მხრივ თვეამ გააკეთა იგივე სინგაპურთან და ჰონგ კონკონგი.ასევე,ისლანდიამ და შვეიცარიამ,როგორც ინდივიდუალურმა ქვეყნებმა, გააფორმეს შეთანხმება ჩინეთთან.

მეორე თაობის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები განსხვავდება ტრადიციული ტიპისაგან, რადგან ის მოიცავს არა მარტო საქონელზე ვაჭრობას, არამედ ისეთ სფეროებსაც, როგორებიცაა: მომსახურება და ინვესტიციები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა, სახელმწიფო შესყიდვები, ტექნიკური რეგლამენტები და მრავალი სხვა.

მეორე თაობის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება საგრძნობლად გაამარტივებს სიტუაციებს თვეასა და ევრო კავშირს შორის.ნაცვლად ინსტიტუტების ორმაგი კომპლექსისა,როგორც ეს თვეასა და ევრო კავშირს შორისაა,და უამრავი ბილეტარული შეთანხმებისა ევრო კავშირსა და შვეიცარიას შორის,იქნება ერთი საერთო ყოვლისმომცველი შეთანხმება.გარდა ამისა, ეს განახლებული დოკუმენტი შეესაბამება ყველაზე თანამედროვე გლობალურ სავაჭრო შეთანხმებებს, რაც უპირატესობა გახლავთ და ორივე ბლოკზე საერთაშორისო დონეზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს.ეს იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირი აღარ დადგება საკითხის პირისპირ, რომ სამი EEA- ს წევრი არ ეკუთვნის ევროკავშირს, რადგან ტერიტორია მთლიანად შეესაბამება ევროკავშირის საზღვრებს.

ერთის მხრივ კითხვაზე უნდა შევიდეს თუ არა შვეიცარია ევრო კავშირში,შვეიცარიის ბიზნეს ასოციაცია და ეკონომისტების უმეტესობის პასუხია არა ! მათი თქმით თუ შვეიცარია ევრო კავშირში შევა ამით ისინი მიიღებენ მეტ რეგულაციებს,გაზრდილ დანახარჯებსა და ნაკლებ პოლიტიკურ ავტონომიას.ამასთან ევრო კავშირმა დაასკვნა,რომ შვეიცარიის დაბალი კანტონის საგადასახადო განაკვეთები არაკონკურენტული იქნება და ამან შესაძლოა აზარალოს უცხოური კომპანიების დაკარგვით.თუმცა შვეიცარიის ეკონომიკა გაძლიერდა ევროზონის ყველა ქვეყანაში მათ შორის რეცესიის პერიოდში.

| 149 | ქაშაყის (Clupea harengus, Clupea pallasii) | 03048600000 | იმპორტი | ნორვეგია | 27820 | 59631,4 | 27820 |
| 150 | პასტები ნახშირბადოვანი ელექტროდებისათვის და ანალოგიური პასტები ღუმელების ამოl | 38013000000 | იმპორტი | ნორვეგია | 44561 | 18041,21 | 44561 |
| 151 | ფეროსილიკომანგანუმი | 72023000000 | ექსპორტი | ნორვეგია | 301895 | 231736,7507 | 301895 |
| 152 | ხრახნილლულიანი იარაღი სპორტული, სანადირო ან მიზანში სასროლი დანარჩენი | 93033000000 | იმპორტი | ნორვეგია | 13,5 | 1806,43 | 2 |
| 153 | | | | | | | |

#იხ.საქართველოსა და ნორვეგიის 2016 წლის ექსპორტ-იმპორტი თვეების მიხედვით(წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo , http://rs.ge/Default.aspx?sec_id=4793&lang=1)

ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი ფაქტი ზემოთ აღნიშნული ცხრილიდან გახლავთ ექსპორტის მცირე წილი 2016 წლის სავაჭრო მონახაზში,რომელიც მარტივი თვალსაჩინოებისთვის მუქი წითელი ფერითაა აღნიშნული.ამ წლის მთლიან წარმოებაში 140-ზე მეტი სავაჭრო ეტაპია,რომელთაგან მხოლოდ 8 წარმოადგენს ექსპორტს ,რაც იმპორტზე დაახლოებით 17,5-ჯერ ნაკლებია.მიმდინარე 8 ექსპორტულ სახეობაში შედის ისეთი სახის ნაწარმი,როგორებიცაა : ფერონილიკომანგანუმი,სტატისტიკური ელექტრო გარდამქმნელები,ხელის ინსტრუმენტები,ტელესაკომუნიკაციო დანადგართა სხვადასხვა დეტალები და ქართული წითელი ღვინის,საფერავის 2 სახეობა.

ასევე საინტერესოა ფაქტი,რომ ნორვეგიასტან ვაჭრობის ყველაზე დატვირთულ პერიოდს ნოემბერი წარმოადგენს,სადაც 2016 წელს დაფიქსირდა 20 იმპორტირებული სახეობა და 0 ექსპორტირებული.ყველაზე ნაკლებად დატვირთულ პერიოდს კი სექტემბერი წარმოადგენს,სადაც მხოლოდ 3 ბრუნვა დაფიქსირდა და სამივე იმპორტული.მთლიანი წლის 8 ექსპორტიდან 4 ივნისზე მოდის,რაც მთლიან ჭრილში ერთი თვის წილად საკმაოდ დიდი მაჩვენებელია.

ცხრილში მკრთალი ფერის წითლად აღნიშნულია ყველაზე მაღალი ღირებულების 5 სავაჭრო ბრუნვა,5-ვე იმპორტი ამასთან 5-ვე წარმოადგენს სხვადასხვა თვეში იმპორტირებულ საქონელს კლასიფიკაციის მიხედვით - ატლანტიკის ოკეანის ორაგული და დუნაის ორაგული.ამას ემატება ის ფაქტიც რომ წინამდებარე პროდუქტი შემოტანილია ყოველ თვე,მათ შორის ზოგჯერ თვეში რამდენჯერმეც და შესაბამისად წარმოადგენს საქართველოს იმპორტებში ყველაზე მოთხოვნად და რეალიზებად საქონელს ნორვეგიიდან.

როგორც უკვე ითქვა ნორვეგიასთან სავაჭრო ურთიერთობების ლიდერად თევზის სხვადასხვა სახეობა გვევლინება,იქნება ეს გაყინული,ცოცხალი,ფილე თუ სხვა მოდიფიკაციით.ცხრილში ღია მწვანედაა მონიშნული ის ნაწარმი,რომელიც წლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ შემოვიდა საქართველოში და ისიც მცირე რაოდენობით,რაც ქმნის იმის წარმოდგენას,რომ მსგავს ქმედებას აქვს ესპერიმენტული ხასიათი და ეკონომიკური აგენტი ან აგენტები ცდილობენ დააკვირდნენ კონკრეტული იმპორტირებული საქონლის ათვისების პროცესს ქართულ ბაზარზე,რასაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაც.

## ნორვეგიის სავაჭრო მახასიათებლები

ნორვეგია თანამედროვე, ენერგეტიკული მარაგით სავსე 5.3 მილიონიანი ქვეყანაა.

ნორვეგია ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ქვეყანად, მშპ-სთან ერთ სულ მოსახლეზე, 70,000 აშშ დოლარზე მეტი მსყიდველობითი პარიტეტის საფუძველზე. ნორვეგიის გარე საფინანსო პოზიცია გლობალური პერსპექტივით ძალიან ძლიერია და ქვეყანას აქვს მნიშვნელოვანი წილი უცხოური ვაჭრობის

ლიბერალური გარემოს შექმნაში. ქვეყანა უხვად არის დაჯილდოვებული ბუნებრივი რესურსებით - ნავთობი, ჰიდროენერგია, თევზი, ტყეები და მინერალები,მათ შრის უაღრესად დამოკიდებულია ნავთობზე.ნორვეგია არის ბუნებრივი აირის მე-3 უმსხვილესი და ნედლი ნავთობის მეექვსე ექსპორტიორი (2016). მისი მსხვილი სავაჭრო გადაზიდვების ფლოტი საზღვაო ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვეა და ფასეულობით მე -5 ადგილზეა. სხვა მსხვილი მრეწველობებს წარმოადგენს ისეთი პროდუქტები, როგორებიცაა ოფშორული გადაზიდვა, გემთმშენებლობა, თევზაობა და თევზის მეურნეობა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ცელულოზა და ქაღალდის პროდუქტები და მსუბუქი ლითონების დამუშავება.შემოსავლები მაქსიმალურად თანაბრადაა გადანაწილებული მოსახლეობაზე,უმუშევრობის დონე დაბალია 3.8%,თუმცა ის ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად დასახლებული ქვეყანაა. საპროცენტო განაკვეთები ასევე დაბალია.მისი ეკონომიკა თავისუფალი ბაზრის საქმიანობისა და მთავრობის ინტერვენციის კომბინაციაა. ევროპის ეკონომიკური ზონის წევრობის მეშვეობით, ნორვეგია პრაქტიკულად ევრო კავშირის ყოველ ერთიან ბაზარზეა, გარდა თევზისა და სოფლის მეურნეობისა.ნორვეგია არის შენგენის შეთანხმების წევრი ქვეყანა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის თავისუფალ გადაადგილებას და ევროკავშირის საზღვრისპირა რეჟიმის არარსებობას 28 ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს შორის, ასევე 22 ქვეყანას შორის თვეას წევრი ქვეყნებისთვის.

ამჟამად ნორვეგია მსოფლიოში 30-ე უმსხვილესი საექსპორტო ეკონომიკაა და ქვეყნის წილი 17.1 მილიარდი დოლარის პოზიტიურ სავაჭრო ბალანსს შეადგენს, ხოლო ექსპორტის წლიდან ექსპორტიდან $ 72.3 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.ნორვეგიის ეკონომიკა მგრძნობიარეა ოფშორულ ნავთობისა და გაზის სექტორში გამომავალი და ფასების ცვლილებებზე, რადგან ეს არის საექსპორტო ბაზრები, სათევზაო ინდუსტრიასთან ერთად.მის 5 ყველაზე მნიშვნელოვან საექსპორტო პროდუქტს წარმოადგენს :

1.ნედლი ნავთობი $22.8 მილიარდი ყოველწლიურად

2.სანავთობო გაზი $20.7 მილიარდი ყოველწლიურად

3.უცხიმო თევზი $6.4 მილიარდი ყოველწლიურად

4.ნედლი ალუმინი $2.42 მილიარდი ყოველწლიურად

5.თევზის ფილე $1.71 მილიარდი ყველწლიურად

ნორვეგიის ყველაზე მნიშვნელოვანი და მსხვილი საექსპორტო მიმართულებებია გაერთიანებული სამეფო (18.5 მილიარდი დოლარი), გერმანია (12.8 მილიარდი დოლარი), ნიდერლანდები (9.5 მილიარდი დოლარი), საფრანგეთი (6.13 მილიარდი დოლარი) და შვედეთი (5.76 მილიარდი დოლარი).ნორვეგიის ძირითად საიმპორტო პროდუქტს წარმოადგენს :

1.მანქანები $5.1 მილიარდი

2.სამგზავრო და სატვირთო გემები $ 2.14 მილიარდი

3.დამუშავებული ნავთობი $1.8 მილიარდი

4.კომპიუტერები $1.46 მილიარდი

5.ნიკელი-თუთრი მეტალი $970 მილიონი

6.რკინის ნაკეთობები $892 მილიონი

7.სანათი მოწყობილობები $529 მილიონი

8.ნედლი ალუმინი $456 მილიონი

9.მცენარე (სოიოანები) $192 მილიონი

10.ყავა $189 მილიონი

(წყარო : Norway Country Commercial Guide 2019, https://www.export.gov/article?id=Norway-trade-promotion-and-advertising)

ასევე საინტერესო ფაქტებია,რომ ნორვეგიაში მსოფლიოში ყველაზე მაღალი ბენზინის ფასებია, მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგია მსოფლიოში ყველაზე დიდი ნავთობის ექსპორტიორია. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ნორვეგიელებს მსოფლიოში ყავის ყველაზე დიდი რაოდენობით მომხმარებლები იყვნენ.

## ნორვეგიის ალკოჰოლური სასმელების ბაზარი

გამომდინარე ფაქტიდან,რომ საქართველო ისტორიულად ითვლება „ღვინის ქვეყანად“ და შესაბამისად მის ერთერთ მნიშვნელოვან საექსპორტო პროდუქტს სწორედ ალკოჰოლური სასმელები წარმოადგენს,საინტერესო იქნება ნორვეგიის ,როგორც ალკოჰოლური სასმელების ბაზრის განხილვა.

ნორვეგიის კანონმდებლობით,ალკოჰოლურ სასმელად ითვლება სასმელი,რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა აღებატება 2.5-ს,ხოლო სპირტიან ალკოჰოლურ სასმელად ითვლება სასმელი,რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 22%-ს.ალკოჰოლური სასმელების მოხმარების კუთხით ნორვეგიული ბაზარი, ტრადიციულად, ლუდზე და სპირტიან ალკოჰოლურ სასმელებზეა ორიენტირებული.

ნორვეგიაში,ალკოჰოლური სასმელების მოხმარების მხრივ,ყველაზე კრიტიკული მე-19 საუკუნის 30-იანი და 40-იანი წლები იყო.ლიბერალურმა კანონმდებლობამ ხელი შეუწყო სპირტიანი ალკოჰოლური სასმელების მოხმარების მკვეთრ ზრდას,რამაც ნორვეგიაში მოხმარებული ალკოჰოლური სასმელების მთლიანი მოცულობის 80-90% შეადგინა.ამ პერიოდში ნორვეგიის ერთი ზრდასრული მოქალაქე წელიწადში საშუალოდ 13 ლიტრ სუფტა სპირტის ექვივალენტ ალკოჰოლურ სასმელს მოიხარდა.

1995 წელს,ერთ ზრდასრულ ადამიანზე მოხმარებულ სუფთა ალკოჰოლზე გაანგარიშებით,ნორვეგიის ბაზარზე პირველად გაიყიდა მეტი ღვინო ვიდრე სპირტიანი ალკოჰოლური სასმელი.ეს ტენდენცია მომავალშიც ღვინის სასარგებლოდ იზრდებოდა.2009 წლის მონაცემებით მოხმარებულმა სპირტიანმა სასმელმა სუფთა ალკოჰოლზე გადაყვანით 1.31 ლიტრი,ხოლო ღვინომ 2.28 ლიტრი შეადგინა.

ნორვეგიის კანონმდებლობა ალკოჰოლური სასმელების ქვეყანაში შეტანაზე ძირითადად მოიცავს შემდეგს :

1.ჯამრთელობის დაცვისა და სოციალურ საქმეთა სამინისტროს სპეციალური უფლების გარეშე დაუშვებელია 60%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის სასმელის ნორვეგიის ბაზარზე იმპორტი.

2. სამომხმარებლო ერთეულისთვის - EAN-8, EAN-13, UPC-A/E (Universal Product Code – პროდუქტის უნივერსალური კოდი)

3. ლოჯისტიკური ერთეულისთვის – EAN-13, UPC-A, ITF-14 da GS1- 128 (Vinmonopolet- ალკოჰოლური სასმელების მწარმოებლებს ურჩევენ გამოიყენონ GS1-128 შტრიხ-კოდი)

4. ალკოჰოლური სასმელების ყოველ ლოჯისტიკურ ერთეულზე დატანილი უნდა იყოს GTIN ნომერი (Global Trade Item Number – სავაჭრო ერთეულის გლობალური ნომერი )

5. ალკოჰოლური სასმელების ტრასნსპორტირება უნდა მოხდეს შესაბამისი ხარისხის ევრო-პალეტების გამოყენებით.როგორც წესი,დატვირთული პალეტის სიმაღლე არ უნდა აჭარბებდეს 152 სანტიმეტრს

2010 წლისთვის ნორვეგიელ მომხმარებლებს დაახლოებით 12 ათასზე მეტი სახეობის ალკოჰოლური სასმელის არჩევანი აქვთ,რაც საკმაოდ აღემატება მეზობელი ქვეყნების ანალოგიურ მონაცემს.

2009 წელს ნორვეგიულ ბაზარზე დაახლოებით 62.1 მილიონი ლიტრი ღვინო,12.9 მილიონი ლიტრი სპირტიანი ალკოჰოლური სასმელი და 1.7 მილიონი ლიტრი სხვა სახის ალკოჰოლური სასმელები იქნა რეალიზებული. 2004 წლიდან 2009 წლამდე




**იხ.2004 წლიდან 2009 წლამდე მოხმარებული ღვინის რაოდენობა ნორვეგიაში** (წყარო : ნორვეგიის ალკოჰოლური ბაზარის თავისებურებები,საქართველო-ევრო საბჭო 2010)

მოხმარებული ღვინის რაოდენობაა ასახული გრაფიკზე.ღვინის მოხმარება ნორვეგიულ ბაზარზე ზრდის ტენცენციით ხასიათდება და ნორვეგიის ბაზარზე მოხმარებული წითელი ღვინის წილი,ღვინის მთლიანი მოხმარების დაახლოებით
70 %-ს შეადგენს.

# საქართველოს სავაჭრო პერსპექტივები

მიმდინარე გლობალიზაციის პროცესმა და მსოფლიო ბაზრების ლიბერალიზაციამ კიდევ უფრო გაზარდა ქვეყნების სავაჭრო ურთიერთდამოკიდებულებების როლი,საქართველოს მაგალითზე რომ განვიხილოთ, გარდაუვალია ეკონომიკური განვითარება მსოფლიოს ქვეყნებთან სავაჭრო კავშირების გარეშე. ამასთან მნიშვნელოვანია რომ მუდმივად ხდებოდეს ამ კავშირების სტატისტიკური შესწავლა, რათა გამოვლინდეს გარკვეული ტენდენციები და მოხდეს სავაჭრო ურთიერთობების პერსპექტივების გამოვლენა. სტატისტიკის ეროვნული სამსახური კვარტალურად აქვეყნებს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო-სატვირთო დეკლარაციებს, რის საფუძველზეც დაინტერესებულ მკვლევარს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია საგარეო ვაჭრობის შესახებ.

## საქართველოს საგარეო ვაჭრობის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოს ამ ეტაპზე გააჩნია უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, ანუ იმპორტი აღემატება ექსპორტს. 2018 წლის იანვარ-აპრილის მონაცემების ჩათვლით შეგვიძლია გავეცნოთ სავაჭრო ბალანსის დიაგრამას:




იხ.საქართველოს სავაჭრო ბალანსი(წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

ბოლო ხუთი წლის მონაცემებით ექსპორტი იმპორტს 3-3,5-ჯერ აღემატება,რაც მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველო მეტწილად დამოკიდებულია სხვა ქვეყნებზე და ტენდენცია კლებადია, თუმცა ძალიან მცირედთ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყნების მიხედვით იმპორტ-ექსპორტის მაჩვენებლები მკვეთრად იცვლება წლების მიხედვით. კერძოდ თავდაპირველად განვიხილოთ საქართველოს ექსპორტის მაჩვენებლების დიაგრამა ქვეყნების ჯგუფების მიხედვით:




იხ.საქართველოს ექსპორტი ჯგუფების მიხედვით (წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

საგულისხმო ფაქტია,რომ ევრო კავშირსა და თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის წევრი ქვეყნების საიმპორტო ნაწარმის სტანდარტების უმეტესი ასპექტი იდენტურია,ამასთან ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის მოცულობა მზარდია, რაც ძალზედ პოზიტიურად შეგვიძლია შევაფასოთ,გამომდინარე იქედან, რომ ევროკავშირის ბაზარი მოითხოვს მაღალი სტანდარტის საქონელს, ეს ფაქტი მეწარმეებს უბიძგებს მათ მიერ შექმნილი პროდუქცია აკმაყოფილებდეს ამ მაღალ სტანდარტებს. რაც პირდაპირ კავშირშია

მაღალტექნოლოგიური წარმოების პროცესთან.

თვალი რომ გადავავლოთ 2017 წლის სასაქონლო მონაცემებს,საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვა (არადეკლარირებული საქონლის გამოკლებით) შეადგენდა 10710.6 მლნ. აშშ დოლარს, რაც წინა წელთან შედარებით 18%-ითაა გაზრდილი. სადაც

ექსპორტი არის 577 მლნ. აშშ დოლარი,ხოლო იმპორტი 1708 მლნ. აშშ დოლარი, წინა წელტან შედარებით ექსპორტი გაზრდილია 30%-ით, ხოლო იმპორტი 15-ით.




იხ.საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი (წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

2018 წელს საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპორტის მაქსიმუმი - 2 297 მლნ აშშ დოლარის დაფიქსირდა. აქედან 85% საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მქონე ქვეყნებში გავიდა, რომელთა ჯამური საექსპორტო ბაზარი მსოფლიო სამომხმარებლო ბაზრის 1/3 და 2.3 მილიარდზე მეტი მომხმარებელია.

2018 წელს ევროკავშირში 10 ძირითადი საექსპორტო პროდუქციის წილმა, ევროკავშირში

მთლიანი ექსპორტის 77.9% შეადგინა. ეს პოზიციებია:

1. სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 325 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 44.5%);

2. აზოტოვანი სასუქები - 45.7 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 6.2%);

3. სპირტიანი სასმელები - 42.3 მლნ. აშშ დოლარი (მ.შ. რეექსპორტი 58%) (წილი - 5.8%);

4. თხილი - 36.5 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 5%);

5. საბურავები - 30.9 მლნ. აშშ დოლარი (სულ რეექსპორტი) (წილი - 4.2%);

6. ნავთობპროდუქტები - 29.5 მლნ. აშშ დოლარი (მ.შ. რეექსპორტი 33%) (წილი - 4%);

7. ღვინო - 18.6 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 2.5%);

8. მინერალური წყლები - 16.2 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 2.2%);

9. ფეროშენადნობები - 14.6 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 2%);

10. მსუბუქი ავტომობილები - 10.8 მლნ. აშშ დოლარი (წილი - 1.5%).

2018 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66.2% შეადგინა. პირველ ადგილზეა თურქეთი (1 702.8 მლნ. აშშ დოლარი, წილი 13.6%), მეორე ადგილზეა რუსეთი ( 1 373 მლნ. აშშ დოლარი, წილი 11. %), ხოლო მე-3 აზერბაიჯანი (1 088.8 მლნ. აშშ დოლარი, წილი 8.7%).




საქართველოში არსებული დღევანდელი გარემო-პოლიტიკური სიტუაციებიდან გამომდინარე საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორთან,რუსეთთან ეკონომიკურ სტაბილურობაზე დაყრდნობა გარკვეულ რისკებს მოიცავს,მათ შორის მის მიერ ინიცირებული სანქციები საქართველოს ნაწარმზე.ერთის მხრივ ეს საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს,თუმცა მეორე მხრივ საქართველოს ეკონომიკისთვის ეს ფაქტი შეიძლება იქცეს გამოწვევად რუსეთის ბაზარზე ორიენტირებული პროდუქტი გაიტანოს სხვა ქვეყნებში,მათ შორის თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის წევრ ქვეყნებში.ეს თავის მხრივ მოითხოვს არსებული სანაწარმო სტანდარტების მაღალ დონეზე დაცვასა და შესრულებას.

თუ განვიხილავთ საქართველოს სავაჭრო,საექსპორტო ათეულს,შემდეგნაირად გადანაწილდება :




იხ.საქართველოს საექსპორტო ათეული 2018 წ. (წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

საქართველოს თავისი ისტორიული ეკონომიკური გამოცდილებიდან და ტერიტორიული სიახლოვიდან გამომდინარე ძირითად სავაჭრო პარნიორებად გარშემო მყოფი მეზობლები ყავს.თვეასთან თავისუფალი ვაჭრობის გაფორმების სამომავლო ფორმირების ანალიზისთვის საინტერესო იქნება თუ განვიხილავთ საქართველოსა და ევრო კავშირს შორის 2014 წელს მიღწეულ ღრმა და ყოვლისმომცველ შეთანხმებასა და მის გამოწვევებს.

ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს (DCFTA) გადაჰყავს ქვეყანა საშეღავათო სავაჭრო რეჟიმზე და ქმნის შესაძლებლობას, გაზარდოს ბაზარზე წვდომა საქართველოსა და ევროკავშირს შორის, რომლებიც ერთმანეთთან ჰარმონიზებულ რეგულაციებზეა დაფუძნებული. კერძოდ, DCFTA საშუალებას აძლევს ქართველ მეწარმეებს, განათავსონ თავიანთი პროდუქტი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ, ევროკავშირის ერთიან ბაზარზე სატარიფო ბარიერებისა და კვოტების

გარეშე.მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის ასოცირების შესახებ შეთანხმების ანგარიშის მიხედვით DCFTA-ის ნაწილში შესრულება შეფასდა 100%-ით დადებითად, მისი ძალაში შესვლიდან 4 წლის თავზე საქართველო სრულად ვერ იყენებს DCFTA-ის სიკეთეებს. სხვადასხვა კვლევის მიხედვით, მოლოდინი უფრო პოზიტიური იყო, ვიდრე შედეგი. მიუხედავად იმისა, რომ სრულყოფილი ანალიზის გასაკეთებლად 4 წელი არ არის საკმარისი დრო, დასკვნების გაკეთება შესაძლებელია შედეგებზე დაყრდნობით. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ანგარიშის – „ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო“ -ს მიხედვით.

ხელშეკრულების ამოქმედების პერიოდში არც ექსპორტის სტრუქტურაში სასაქონლო პოზიციების მიხედვით მნიშვნელოვან ცვლილებებს. ჰქონია ადგილი. ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ექსპორტირებული საქონლის ძირითად კატეგორიებს კვლავ ნედლეული, კერძოდ მადნებისა და სპილენძის კონცენტრანტები, სასუქები, ნავთობპროდუქტები და ეთილის სპირტი წარმოადგენს. შესაბამისად, ეს არის სექტორები, რომლებიც ძირითადად მონოპოლიზებული და ოლიგოპოლიზებულია. სოფლის მეურნეობის სექტორიდან ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ექსპორტირებული პროდუქციის ათეულში შედის თხილი (HS 0802) და ღვინო (HS 2204), რომელთა წილი მთლიან ექსპორტში საკმაოდ დაბალია. კერძოდ, 2017 წლის მონაცემებით, ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებთან 646.5 მლნ. აშშ დოლარი იყო, მათ შორის ღვინის ექსპორტი – $170 მილიონი, მთლიან ექსპორტში 6%-იანი წილით, ხოლო თხილი და კაკალი – $83 მილიონი, მთლიან ექსპორტში 3%-იანი წილით. თუ შევადარებთ ამ მაჩვენებლებს ყველაზე მაღალ მოთხოვნად საექსპორტო საქონელს, სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს, წილი მთლიან ექსპორტში შეადგენს 15%-ს, ხოლო ექსპორტის ღირებულება 419 მილიონი აშშ დოლარს.

განვიხილოთ არსებული სიტუაციის ხელშემშლელი ფაქტორები და ბარიერები,რომლის გამოსწორების შემთხვევაშიც საქართველოს საექსპორტო ნაწარს ექნება პოტენციალი მნიშვნელოვანი როლი დაიკავოს ევროპულ ,როგორც ევრო კავშირში,ასევე თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის,ბაზარზე.ქართული პროდუქციის ევროპის ერთიან ბაზარზე ექსპორტის ძირითადი გამოწვევები ევრო

კავშირის უმაღლეს სტანდარტებთან შეუსაბამობა და გაუმართავი წარმოების ჯაჭვია, რაც არასატარიფო ბარიერების გათვალისწინებით აძვირებს ქართული წარმოშობის პროდუქტს და არ ქმნის ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდის სურათს. ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ექსპორტი, რომელიც ხასიათდება მაღალი მსყიდველობითი უნარით, რამაც მოიცვა 502 მლნ-ზე მეტი პოტენციური მყიდველი, გულისხმობს შემდეგი წინაპირობების დაკმაყოფილებას: DCFTA-ის ძალაში შესვლის მიუხედავად, ევროკავშირის ბაზარი ღიაა მხოლოდ იმ პროდუქციისათვის, რომელიც აკმაყოფილებს ევროპის ბაზრისთვის განსაზღვრულ შიდა რეგულაციებს. რეალურად, სატარიფო პოლიტიკის ლიბერალიზაციის მიღმა ე.წ. არასატარიფო ბარიერები რთული გადასალახია, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (SME-ებისთვის). უფრო კონკრეტულად კი, ევროკავშირის ბაზარზე შესვლის ბარიერებად შესაძლოა შემდეგი ფაქტორები დასახელდეს:

**პროდუქციის ხარისხი და არაერთგვაროვნება** – ქართული წარმოშობის პროდუქტის ხარისხი შეუსაბამოა ევროკავშირის სტანდარტებთან. მათ შორის, პრობლემატურ საკითხად რჩება ხარისხის საერთაშორისო სერტიფიცირების სისტემის დანერგვა, რაც მაღალ ხარჯებთან არის დაკავშირებული; აგრეთვე ლაბორატორიების სიმცირე/ნაკლები ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით რეგიონებში.

**მიწის ფრაგმენტაცია** – მცირემიწიანობა და აგრეთვე დაურეგისტრირებელი მიწების პრობლემა წარმოების მცირე მასშტაბების განმაპირობებელია. აღნიშნული ვერ უზრუნველყოფს მასშტაბის ეფექტის მიღებას და ერთეულის წარმოების თვითღირებულების შემცირებას, შესაბამისად კონკურენტული ფასის დაწესებას წარმოებულ პროდუქტზე.

**ინფრასტრუქტურა** – ცენტრალური სარწყავი სისტემის ნაკლოვანებები, სამაცივრე და სასაწყობე ობიექტების ნაკლებობა, დამაკავშირებელი გზების გაუმართაობა, ასევე ინტერნეტის დაბალი ხელმისაწვდომობა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ საკითხებს წარმოადგენს.

**ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა** – მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის საქართველოს ბანკებში არსებული საპროცენტო განაკვეთი ძალიან მაღალია. ამასთან,

ის გარანტია, რომლებსაც ბანკები ითხოვენ მცირე სესხებისთვისაც ხშირ შემთხვევაში ძალიან დიდია. არ არსებობს ქვესექტორებზე ორიენტირებული სესხები და მეწარმეებს შეზღუდული წვდომა აქვთ სამუშაო კაპიტალისთვის აუცილებელ სესხებზე. გარდა ამისა, საკრედიტო პროდუქტების რაოდენობა საშუალო და გრძელვადიანი ინვესტიციებისათვის შეზღუდულია.

**ცნობიერების დაბალი დონე DCFTA-ის შესაძლო სიკეთეების შესახებ** – დაბალია ცნობიერების დონე, განსაკუთრებით რეგიონებში.

გამოსავალი მდგომარეობს ცნობიერების დონის ამაღლებაში (სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა, განსაკუთრებით რეგიონებში); სახელმწიფო პროგრამების მორგებაში რეგიონების სპეციფიკასთან ფინანსების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერის გათვალისწინებით; მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის პროცესში; დუალური განათლებისა და პროფესიული სწავლების მხარდაჭერაში; ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში; საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისების განვითარებაში, რაც გაწერილია სოფლის მეურნეობის განვითარების სხვადასხვა სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში.

ეს პროცესი მოითხოვს დიდ ფინანსურ რესურსებსა და მაღალ პროფესიონალიზმს. მხოლოდ ამის შემდგომ, გრძელვადიან პერსპექტივაში იქნება,რომ მცირე და საშუალო საწარმოებმა დააკმაყოფილონ ევროსტანდარტების შესაბამისი ხარისხის მოთხოვნები და დასძლიონ არასატარიფო ბარიერები; შედეგად გაიზრდება წარმოების მოცულობა და მეწარმეებს ექნებათ შესაძლებლობა, უზრუნველყონ ევროპული ბაზარზე უწყვეტი მიწოდება.

საქართველოს ევროპულ ბაზარზე შესვლისა და მნიშვნელოვანი როლის დაკავება კონკრეტულ სფეროებში შეუძლია,რაც საქართველოს როგორც ექსპორტს,ასევე ზოგად კეთილდღეობას მნიშვნელოვნად გაზრდის.

## საქართველოს სავაჭრო პროდუქტის პერსპექტივა ევროპულ ბაზარზე

შევისწავლეთ და გავაანალიზეთ პერსპექტიული პროდუქტები,რომლებიც შეიძლება გახდეს საქართველოსა მნიშვნელოვანი საექსპორტო ნაწარმი ევროპის ბაზარზე (აღნიშნული კვლევის წყაროს წარმოადგენს ევროკავშირისა და საქართველოს საინფორმაციო, ვაჭრობის ხელშეწყობის ორგანიზაცია 2015, europe for georgia, http://eugeorgia.info/ka/):

**ხილის ჩირი**

ევროკავშირი მსოფლიოში ხილის ჩირის ერთ-ერთი უმსხვილესი მომხმარებელია. ძირითადად, ქლიავის, ხურმის, ვაშლის, ბანანის, ფინიკის, ლეღვის, ფორთოხლის, გრეიფრუტის, გარგარისა და მსხლის ჩირის იმპორტი ხდება. იმპორტში ყველაზე დიდი წილი (25%) დიდ ბრიტანეთს უკავია. მთავარი ექსპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი, გვატემალა, კოლუმბია, ბანგლადეში და ეკვადორი.

**წარმოება საქართველოში:** კომპანია GEOFOOD ერთ-ერთია, რომელმაც მარტვილში დამზადებული ხურმის ჩირი ჰოლანდიაში გაიტანა.

ხილის ჩირს წარმატებით ყიდის გერმანიაში კომპანია “გეო ფლაუერიც”.

შემოდგომაზე ხურმის ჩირს საექსპორტოდ დაამზადებს ჩხოროწყუში შპს ზაზა, რომელსაც პარტნიორი უკვე ჰყავს ლიტვასა და საბერძნეთში.

“ქარელის აგროინდუსტრიულ კომპანიას” შიდა ქართლში 25 ჰა-ზე შავი ქლიავის ბაღი და ჩირის გადამამუშავებელ საწარმო აქვს, საწარმოში ქლიავის ჩირი პირველად წელს დამზადდა და ჯერჯერობით, შიდა ბაზარზე იყიდება. კომპანიის დირექტორის თქმით, შავი ქლიავის ჩირის მოხმარება საქართველოში წელიწადში - 55 ტონამდეა, გერმანიაში კი- 10-ჯერ დიდი, ამიტომ საკუთარი პროდუქციის ექსპორტზე გატანას გეგმავს.

**დაბრკოლებები:** პროდუქტის ხარისხი- საქართველოში ჩირს, ძირითადად, სახლის პირობებში, ტრადიციული მეთოდით ამზადებენ და მზეზე აშრობენ, რის შედეგადაც ფერს კარგავს და კომერციულადაც ნაკლებად მიმზიდველი ხდება. მეწარმეებს არ აქვთ ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

## მოცვი/ლურჯი მოცვი

მოცვის წარმოების კომერციალიზაცია საქართველოში უახლოეს წარსულში დაიწყო, თუმცა ექსპორტის მაჩვენებელი მზარდია (2014-$150 ათასი 2015- $215 ათასი;). ლურჯ მოცვზე საერთაშორისო მოთხოვნაც სწრაფად იზრდება, 2010-2014 წლებში ევროკავშირში მოცვის იმპორტი გაორმაგდა. საქართველოს ევროკავშირის ბაზარზე კონკურენტული უპირატესობაც აქვს -ქართული მოცვი მწიფდება რამდენიმე კვირით ადრე, ვიდრე ევროკავშირის მთავარ მიმწოდებელ ქვეყნებში- პოლონეთში, ნიდერლანდებსა და ესპანეთში. მაისის ბოლოდან ივლისის შუა რიცხვებამდე ქართველ მეწარმეებს შეუძლიათ საკუთარი პროდუქტი ევროპელ მომხმარებლებს შესთავაზონ- ამ დროს ევროპაში კენკროვანი კულტურების კრეფის სეზონი ჯერ არ დაწყებულა, ამასთან, დამთავრებულია მოსავალი ლათინურ ამერიკაში, საიდანაც ხდება კენკროვნების ექსპორტი.

ევროპაში კენკროვანი კულტურების ყველაზე დიდი წარმოება აქვს პოლონეთსა და ნიდერლანდებს, ესპანეთიდან დიდია რეექსპორტის მოცულობა. კენკროვან ხილს ყველაზე დიდი ოდენობით გერმანელები და პოლონელები მოიხმარენ, პოპულარულია სკანდინავიის ქვეყნებშიც. ევროპელები უპირატესობას ანიჭებენ ბუნებრივი მეთოდებით მოყვანილ და წარმოებულ პროდუქტს. შესაბამისად, იზრდება ორგანული კენკროვანი ხილის ბაზარიც.

**წარმოება საქართველოში:** ოზურგეთში მდებარე კომპანია “ვანრიკ აგრო გრუპი” საქართველოში ერთადერთია კენკროვანი კულტურების მწარმოებლებს შორის, რომელსაც “გლობალ გეპის” სერტიფიკატი აქვს. წელიწადში 1000 ტონას აწარმოებს, პროდუქტი გააქვს დიდ ბრიტანეთში, პოლონეთში, ბულგარეთში, სომხეთსა და რუსეთში.

პოლონურ კომპანიას წელიწადში 3-5-მდე ტონა გამომშრალ მოცვსა და 20 ტონამდე ასკილს აწვდის ქუთაისში მდებარე ხილ-კენკროვნების საშრობი საწარმო შპს ILJ.

ევროპაში პარტნიორებს ეძებს შპს ვარციხის პლანტაციებიც, რომელსაც ბაღდადის რაიონში 12 ჰა-ზე მოცვისა და ჟოლოს პლანტაციები აქვს.

**დაბრკოლებები:** პროდუქტის ხარისხი -იქიდან გამომდინარე, რომ სექტორი ახალგაზრდაა და ლურჯი მოცვის კომერციული კულტივაცია დაბალ დონეზეა, ნედლეულის ხარისხი კვლავ პრობლემატურ საკითხად რჩება. ნედლეულის მნიშვნელოვანი ნაწილი ტყეში შეგროვებული მოცვია; ინფორმაცია საერთაშორისო ბაზრებზე- მეწარმეებს საერთაშორისო ბაზრებისა და ნიშური სეგმენტების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ, რითაც სარგებლობენ საერთაშორისო შუამავალი კომპანიებიც, დაბალ ფასს სთავაზობენ ქართველ მწარმოებლებს და შემდეგ ქართულ პროდუქტს ევროკავშირის ბაზრებზე ძვირად ყიდიან.

შეფუთვა/დახარისხება-პროდუქტის ევროპაში გასატანად მეწარმეები თავად ახარისხებენ, აფასოებენ და აწყობენ ყუთებში. არ არის საწარმოები, სადაც პროდუქტი შეიფუთება და ევროპაში გასატანად სასურველ სარეალიზაციო სახეს მიიღებს.

კივი

ახალი ზელანდიელების მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, კივის მოსაყვანად ყველაზე კარგი კლიმატი ახალი ზელანდიის შემდეგ საქართველოში, კერძოდ, ფოთი-ზუგდიდი-გალი-ოჩამჩირის ტერიტორიაზეა. ქართული კივის ერთ-ერთი უპირატესობა მაღალი შაქრიანობაა. იტალიური კივის შაქრიანობის მაჩვენებელი 13,9%-ია, ქართულ კივის სიტკბოს შემცველობა კი 17,3%-ს შეადგენს.

დღეს კომპანია “ნერგეტა” ერთადერთია, რომელიც ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში მოწეულ კივის ევროკავშირში ყიდის. „ნერგეტას“ კივი უკვე მეორე წელია გერმანიაში Lidl-ის სუპერმარკეტებში - ბავარიაში, მიუნხენში, შტუტგარტში, დიუსელდორფში, დორტმუნდსა და სხვა ახლომდებარე ქალაქებში ბერძნული და იტალიური კივის გვერდით იკავებს ადგილს. კომპანიას ხარისხის დამადასტურებელი სტანდარტი “გლობალ გეპიც” აქვს დანერგილი.

**დაბრკოლებები:** ლოგისტიკა- სერიოზული პრობლემები ექმნებათ მცირე და საშუალო მეწარმეებს, რომლებსაც ევროპაში გადაუმუშავებელი ხილი და ბოსტნეული გააქვთ და ჯერჯერობით, ვერც უცხოელი პარტნიორები მოიძიეს, ვინც იქ სასაწყობე

მეურნეობის შექმნასა და მართვაში დაეხმარება. მცირე წარმოების გამო საკუთარი პროდუქტით კონტეინერებს ვერ ავსებენ და სხვა კლიენტის ლოდინი დიდხანს უწევთ. საჰაერო ტრანსპორტის გამოყენება ფასს ძალიან აძვირებს, არასტაბილური მომოსვლა შედარებით იაფ ბორანსაც გამოუყენებელს ხდის.

## კურკოვანი კულტურები

კურკოვანი კულტურა (ატამი, ვაშლატამა, ქლიავი, გარგარი და ალუბალი) ევროპის არა ერთ ქვეყანაში მოდის, ამიტომ ევროკავშირში განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტი მხოლოდ არასეზონზე-იანვრიდან-მარტამდე ხდება, როდესაც დეფიციტია, თუმცა, წლის ამ მონაკვეთში დეფიციტია საქართველოშიც, ამის მიზეზი პროდუქტის მცირე რაოდენობა და სამაცივრე მეურნეობების არარსებობაა.

**ევროპის ბაზარი:** ევროპის ყველაზე დიდი მომმარაგებლები სამხრეთ აფრიკა, თურქეთი და ჩილე არიან. განვითარებადი ქვეყნებიდან ყველაზე დიდი ოდენობით კურკოვანი კულტურა ევროკავშირში ნიდერლანდებსა და გაერთიანებულ სამეფოს შეაქვთ, შემდეგ კი ევრო კავშირის სხვა ბაზრებზე რეექსპორტს ახორციელებენ. ყველაზე დიდი მოთხოვნა ატამზე, ვაშლატამაზე, ქლიავზე, გარგარსა და ალუბალზე გერმანიაშია (2014 წელს 451 000 ტონა შევიდა). გერმანიის შემდეგ ყველაზე დიდი იმპორტიორები არიან საფრანგეთი (190 000 ტონა), გაერთიანებული სამეფო (177 000 ტონა), იტალია (143 000 ტონა) და პოლონეთი (130 000 ტონა).

ევროპაში ახალ ხილს შორის ყველაზე დიდი რაოდენობით მოიხმარენ ვაშლს და მსხალს. ვაშლის სახეობებს შორის პოპულარობით სარგებლობს "გოლდენ დელიშესი" (პირველ ადგილზეა). 2014/15 წლების მონაცემებით, ამ სახეობას ევროკავშირში ვაშლის წარმოების 22% უჭირავს. ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნა ვაშლის ამ სახეობაზე. მეორე ადგილზეა “გალა”.

1კგ ფასი საშუალოდ ევროპის(ევრო კავშირი,თვეა) სუპერმარკეტებში:

გარგარი - €6.00 - €7,50

ალუბალი - €5.00 – €10.00

ატამი და ვაშლატამა - €2.50 – €6.00

ქლიავი - €2.50 - €7.50

**დაბრკოლებები:** ლოგისტიკური საშუალებები- არ არსებობს შესაბამისი შესაფუთი და სამაცივრე სისტემები, რომ ხილი დაბინავდეს სეზონზე და შემდგომ სისტემური და სტაბილური მიწოდება მოხდეს.

**ვარდის ზეთი**

ევროპაში 1კგ ვარდის ზეთის ღირებულება, ადგილწარმოშობის მიხედვით, $7 000-10 000 აღწევს, განსაკუთრებულად ფასობს, თუ ის ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტია. ათასობით სახეობიდან კომერციულად ღირებული მხოლოდ სამი ჯიშის ვარდია - Rosa damascena (დამასკოს ვარდი) , Rosa centifolia და Rosa gallica (მაისის ვარდი). „დამასკოს ვარდის“ კულტივაციას ბულგარეთსა და თურქეთში მისდევენ, „გალიკას“ კი - მაროკოში, ეგვიპტეში, ინდოეთსა და მცირე რაოდენობით - საფრანგეთში. თუმცა, მსოფლიო ბაზარს, თითქმის 100%-ით, ორი ტრადიციული მწარმოებელი - ბულგარეთი (40%) და თურქეთი (60%) - ინაწილებს.

საქართველოში ვარდის ზეთის წარმოება არ არის განვითარებული, ერთ-ერთი კომპანია, რომელიც ვარდის ზეთის წარმოებას იწყებს კახეთში კომპანია „კახეთი ბიოა“, რომელიც პროდუქციის ევროკავშირში ექსპორტსაც გეგმავს გერმანელი პარტნიორის დახმარებით.

**ჩაი**

მსოფლიოში ბიო ჩაის დეფიციტია და დარგის სპეციალისტების თქმით, საქართველოს დიდი პოტენციალი გააჩნია, ვინაიდან ყველაზე ჩრდილოეთით წარმოების წერტილია, მავნებელი მწერებისგან დაავადებების რისკიც ნაკლებია, და ამიტომ პესტიციდების გამოყენებაც შეიძლება მინიმალური იყოს. ამასთან, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ქართულ ჩაიში ნაკლები ექსტრაქტულობაა, ანუ კოფეინის

და ტანინის შემცველობა მცირე დოზითაა, ამის გამო დღის განმავლობაში ქართული ჩაის მრავალჯერადი მოხმარება მავნებელი არ არის.

ჩაის მწარმოებელი რეგიონებია: გურია, სამეგრელო, აჭარა და იმერეთი. ოფიციალური ინფორმაციით, დღეს ჩაის პლანტაციები 19 ათასამდე ჰა-ზეა შემორჩენილი, აქედან ექსპლუატაციაშია 2.4 ათასი ჰექტარი, დანარჩენი 16.6 ათასი ჰექტარი გატყევებულია, დაახლოებით 7.5 ათასი ჰექტარი რეაბილიტაციას ექვემდებარება. საქართველო შიდა მოხმარების მხოლოდ 3%-ს აწარმოებს და 5 ათასი ტონა ჩაი იმპორტით შემოდის.

ოზურგეთში მდებარე კომპანია "საქართველოს თაიგული" 30-40 ტონა უმაღლესი ხარისხის დაფასოებული ჩაის წარმოებას გეგმავს (მათ შორის ორგანული ჩაის), რომელიც საქართველოსა და ჩეხეთში გაიყიდება. ადგილობრივი ბაზრის გარდა ჩეხეთში ყიდის პროდუქციას „ტყიბულის ჩაი" და შპს მილმართიც (ბრენდი „შემოქმედი"), რომლის საექსპორტო ბაზრებსაც, შესაძლოა, პოლონეთი და ბულგარეთიც შეემატოს.

ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, სადაც შედარებით თბილი ჰავაა, მოხმარება მინიმალურია, თუ ქვეყანას არა აქვს ჩაის მოხმარების ტრადიცია, როგორც ეს თურქეთის შემთხვევაშია. დარგის სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ჩეხეთის, სლოვაკეთის, პოლონეთის, გერმანიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების მიმართულებით უფრო ეფექტური იქნება ქართული ჩაის ბრენდის შექმნა.

**დაბრკოლებები:** ჩაის დაბალი ხარისხი; თანამედროვე ტექნიკა-დანადგარების არქონა; დარგის სპეციალისტების დეფიციტი და ცოდნის არარსებობა; მოძველებულია სანერგე მეურნეობები.

**დაფნა**

Eurostat-ის(ევროპის სტატისტიკური სამსახური https://ec.europa.eu/eurostat) მონაცემებით, თურქეთისა და ინდოეთის შემდეგ, ევროკავშირის ბაზარზე განვითარებადი ქვეყნებიდან მე-3 ადგილს ქართული დაფნის ფოთოლი იკავებს. ექსპორტირებული 76%-დან 70% მხოლოდ თურქეთიდან შეტანილი დაფნის ფოთოლზე

მოდის, თუმცა, ხშირად ევროპის ბაზარზე თურქული პროდუქტის სახელით ქართული დაფნაც ხვდება. დაფნის კულტურა ძირითადად თურქეთის ანატოლიის რეგიონსა და ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში ხარობს. საქართველოში კი, ძირითადად, სამეგრელოში, ხობის რაიონში მოდის, ასევე, მცირე რაოდენობითაა იმერეთში (თერჯოლა), გურიასა და აჭარაში.

წარმოება საქართველოში: ექსპორტზეა ორიენტირებული კომპანია "აგროლენდი", რომელიც წელიწადში, საშუალოდ, 400-500 ტონას უკეთებს რეალიზაციას, აქედან, ევროპის ქვეყნებზე მხოლოდ 10% (უნგრეთი, პოლონეთი, ესპანეთი, ბულგარეთი), დანარჩენი კი ყოფილი საბჭოთა ქვეყნების (უკრაინა, რუსეთი, ყაზახეთი) ბაზარზე მოდის.

"L&G Company" 5 წელია ხობის რაიონში დაფნის ფოთოლს აწარმოებს. ძირითადი საექსპორტო ბაზარი უკრაინაა. ევროკავშირის ქვეყნებიდან კი მხოლოდ პოლონეთში, რამდენჯერმე გაგზავნა.

ეგვიპტურ-ქართული ინვესტიციით გახსნილი AM Trading ბაზარზე სულ 2 წელია ოპერირებს. ბულგარეთში წელს მეორედ გაიტანა დაფნის ფოთოლი, რომელიც ხობის რეგიონში შეიძინა, მოლაპარაკებები აქვს ბალტიისპირეთის ქვეყნებთანაც.

**დაბრკოლებები:** პროდუქტის ხარისხი-ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ქართულ კომპანიებს კონკურენციის გაწევა უჭირთ, ხარისხია, რასაც ევროპა ითხოვს. საქართველოში საშრობი დანადგარები და თანამედროვე ტექნიკა მხოლოდ რამდენიმე კომპანიას აქვს. ამასთან, დაფნის არცერთ მწარმოებელს არა აქვს ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი. საერთაშორისო შუამავლები- თურქებს საქართველოდან დიდი ოდენობით დაფნა გააქვთ, იქ ახარისხებენ, მაღალი ხარისხის პროდუქტს ყიდიან ევროპის ქვეყნებში, დაბალი ხარისხის რაც რჩება, მცენარეული საღებავებით ამუშავებენ და დსთ-ს ქვეყნებშიც კონკურენციას უწევენ ქართველ მეწარმეებს. ინფორმაცია საერთაშორისო ბაზრებზე- კიდევ ერთი პრობლემა ევროპის ბაზარზე პარტნიორის მოძებნა და ევროპის დარწმუნებაა, რომ ქართული პროდუქტი ხარისხიანია.

## თხილი, კაკალი, ნუში

საქართველო მსოფლიოში თხილის მწარმოებელი და ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულშია. ქართული თხილის 75%-ზე მეტის ექსპორტი დასავლეთი ევროპის ქვეყნებში ხდება. ევროკავშირის ბაზრებზე ყველაზე ძლიერი კონკურენტი თურქეთია, თუმცა ქართული თხილის უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს მისი მაღალი ცხიმიანობა, რაც 7-8%-ით მეტია თურქული თხილის სახეობებთან შედარებით. აღნიშნული უპირატესობის გამოყენება შესაძლებელია წარმატებული საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიისთვის.

თხილთან ერთად მსოფლიო ბაზარზე კაკალსა და ნუშზე მოთხოვნაც ყოველწლიურად იზრდება. ევროკავშირში ყველაზე დიდი საექსპორტო ბაზარია გერმანია, რომელსაც ნუშის წარმოება არა აქვს და მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული. გერმანიაში მიწის თხილის შემდეგ ყველაზე დიდი ოდენობით ნუშს მოიხმარენ. ევროპაში ნუშის მთავარი მიმწოდებელი ამერიკის შეერთებული შტატებია, რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, ევროკავშირის ქვეყნებში ნუში გააქვთ ირანს, სირიას, ჩილეს, უზბეკეთს, ავღანეთს, პაკისტანს, ყირგიზეთს, ინდონეზიასა და ბურკინა ფასოს.

**დაბრკოლებები:** პროდუქტის დაბალი ხარისხი-რაც უკავშირდება თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნის ნაკლებობასა და GAP/HACCP სტანდარტების არქონას. ამასთან, ბევრ ფერმერს არ აქვს თანამედროვე უნარ-ჩვევები, რისი შედეგიცაა დაბალი მწარმოებლურობა და დანაკარგი მოსავლის აღების დროს.

საერთაშორისო შუამავლები-თხილის გადამამუშავებელთა უმრავლესობა თხილს საერთაშორისო ბაზრებზე შუამავლების (ძირითადად თურქეთიდან) მეშვეობით ყიდის, რომლებიც ქართულ პროდუქტს გაცილებით მაღალ ფასს ადებენ ევროპის ბაზარზე შეტანისას.

## თაფლი

მატყლის შემდეგ ევროკავშირის ბაზარი საქართველოში წარმოებული ცხოველური წარმოშობის პროდუქტებიდან თაფლისთვის უნდა გაიხსნას.

ევროპა მსოფლიოში თაფლის მოხმარებით პირველ ადგილზეა, გაზრდილი მოხმარებისა და შიდა წარმოების შემცირების გამო ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნას და მოხმარებული თაფლის დაახლოებით 40%-ს სხვა ქვეყნებიდან ყიდულობს. გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ბაზრები ინაწილებს თაფლის მთლიანი იმპორტის დაახლოებით 50%-ს. ხარისხთან დაკავშირებული შენიშვნების მიუხედავად, ჩინეთი რჩება ევროკავშირისთვის ყველაზე მსხვილ მიმწოდებლად. ჩინეთს ყოველწლიურად 83 ათას ტონაზე მეტი თაფლი შეაქვს, რაც მთლიანი იმპორტის 26%-ია. ჩინური თაფლის მიწოდება სტაბილურია, ფასები კი დაბალი, იაფი მუშა ხელის გამო. განვითარებადი ქვეყნებიდან სხვა მიმწოდებლებს შორის არიან: მექსიკა (8%), არგენტინა (3%) და ტაილანდი (2%). ბოლო პერიოდამდე, არგენტინა იყო თაფლის ერთ-ერთი წამყვანი მიმწოდებელი ევროკავშირში, 2010 წლამდე კი-სიდიდით მეორე. თუმცა ცუდმა კლიმატურმა პირობებმა და არგენტინულ თაფლში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების არსებობამ შეამცირა მისი მოხმარება ევროპაში.

ევროპაში თაფლის იმპორტის ზრდა, ძირითადად, უკავშირდება წარმოების შემცირებას გერმანიასა და ესპანეთში. წარმოება დაეცა ევროპაში თაფლის მთავარ მწარმოებელ ქვეყნებშიც: რუმინეთი, უნგრეთი და პოლონეთი. წარმოების დაცემა ფუტკრების დაავადებებსა და სოფლის მეურნეობაში ქიმიკატების ინტენსიურ გამოყენებას უკავშირდება, რაც ფუტკრების სიკვდილიანობას იწვევს. პესტიციდების მზარდი მოხმარების გამო დღესაც არსებობს ფუტკრების განადგურების საფრთხე. დღეს თაფლისთვის ყველაზე დიდი ბაზარი დასავლეთ ევროპაშია, ეს ქვეყნები განვითარებად ქვეყნებს ასევე სთავზობს შესაძლებლობას დაიკავონ სანიშე ბაზარი, როგორიცაა, ორგანული თაფლი.

**დაბრკოლებები:** პროდუქტის ხარისხი- ევროკავშირს თაფლის ხარისხთან დაკავშირებით მკაცრი მოთხოვნები აქვს. ამ მოთხოვნებიდან მთავარი თაფლში

ანტიობიოტიკების და პესტიციდების ნარჩენების კონტროლია. გარდა ამისა, მკაცრად არის გაწერილი თაფლში ზოგიერთი ნივთიერების დასაშვები რაოდენობები და საერთოდ აკრძალული ნივთიერებები. ევროკავშირის კანონმდებლობით, აკრძალულია იმპორტი ქვეყნიდან თუ ის არ შედის ე.წ. მესამე ქვეყნების სიაში. აღნიშნულ სიაში ყოფნა ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას აქვს თაფლის ხარისხის შესაბამისი კონტროლის/შემოწმების სისტემა, რაც ერთგვარი გარანტია იმისა, რომ ამ ქვეყნიდან იმპორტირებულ თაფლში არ იქნება რომელიმე აკრძალული ნარჩენი და ვეტერინარული პრეპარატი. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ ლაბორატორიაში აცხადებენ, რომ 2016 წლის ბოლოს სრულად იქნება დანერგილი იმ პარამეტრების კვლევა, რასაც ევროკავშირი ითხოვს და ლაბორატორია მომავალ წელს მზად იქნება თაფლი ევროკავშირის ბაზრისთვის შეამოწმოს.

**ბიოღვინო**

განვითარებადი ქვეყნებიდან ორგანული ღვინის ექსპორტის ყველაზე დიდი პოტენციალია ნორვეგიაში, შვედეთში, ფინეთში, დანიაში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიაში, ავსტრიასა და ბენილუქსის ქვეყნებში. გერმანია მსოფლიოში ორგანული ღვინის წამყვანი იმპორტიორია, წლიურად, დაახლოებით, 30 მილიონ ბოთლს ყიდულობს, ძირითადად, იტალიიდან და ესპანეთიდან, ვინაიდან, ევროპაში, ორგანული ღვინის ყველაზე მსხვილი მწარმოებლები ესპანეთი, საფრანგეთი და იტალია არიან. იმის მიუხედავად, რომ ორგანული ღვინო მაინც რჩება ნიშურ ბაზრად, ზოგიერთ ქვეყანაში და მათ შორის: ნიდერლანდებში, გერმანისა და სკანდინავიის ქვეყნებში (დანია, ნორვეგია, შვედეთი და ფინეთი) უკვე კარგად აქვთ ჩამოყალიბებული ორგანული ღვინის ბაზრები.

წარმოება საქართველოში: ბოლო 2 წელია გაიზარდა მეღვინეთა რაოდენობა, რომელთაც საკუთარი მეურნეობის ორგანულად გარდაქმნა უნდათ.

იაგო ბიტარიშვილს მცხეთის რაიონის სოფელ ჩარდახში ბიო ღვინოს მხოლოდ მცირე წარმოება აქვს (5000 ბოთლი), თუმცა პროდუქციას თითქმის მთლიანად ევროპულ ბაზარზე ყიდის. იაგოს ღვინო დღეს 11 ქვეყანაში იყიდება, მათ შორის, უმეტესობა ევროპის ქვეყნებია (იტალია, საფრანგეთი, შვეიცარია, გერმანია, დანია, შვედეთი,

ესპანეთი, სლოვენია, ავსტრია). იაგოს ღვინო ნატურალური პროდუქტის მაღაზიებში დაახლოებით 20 ევრო, რესტორნებსა და ღვინის მაღაზიებში კი 3-ჯერ ძვირი ღირს.

ევროპაში წარმატებით ყიდიან ბიო ღვინოს ძმები ჯაყელებიც. ჯაყალების ღვინო ინგლისში, შვეიცარიასა და პოლონეთში იყიდება.

ირაკლი ნიკოლაშვილი- ერთ-ერთი პირველი მეწარმეა, რომელმაც ბიო ღვინო ევროპის ბაზარზე გაიტანა. პირველად, 2009 წელს ლიტვაში გაყიდა, ბოლო პარტია (1000 ბოთლი) კი შვეიცარიასა და გერმანიაში მიმდინარე წლის იანვარში გაგზავნა.

2 წელია ბიო ღვინოს აწარმოებს ბაკურციხეში გოდერძიშვილების საგვარეულო ღვინის მარანი. ბიო სერტიფიკატის აღებამდე ბრიტანელ პარტნიორებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს და წლის ბოლომდე 1200 ბოთლის გაგზავნასაც გეგმავს.

**დაბრკოლებები:** მარკეტინგი - ქვეყნისა და ღვინის ცნობადობა ჯერ კიდევ არ არის დიდი, ევროპაში ჯერ კიდევ არის ადგილები, სადაც არ იციან ქართული ღვინო, მეწარმეები მიიჩნევენ, რომ მარკეტინგული თვალსაზრისით მუდმივი მუშაობაა საჭირო.

საქართველოსა და თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის შეთანხმების შესახებ საზოგადოებრივი ინფორმაციის ასამაღლებლად 2018 წლის 7 ივნისს,თბილისში,საქართველოსა და თვეას ერთობლივი ინიციატივით გაიმართა ვაჭრობის ხელშეწყობის სემინარი საქართველოს შვეიცარიის ბიზნეს ასოციაციასთან თანამშრომლობით.ახალი ხელშეკრულებისადმე დიდი ინტერესია და მიმდინარე სემინარს დაესწრო 160-ზე მეტი მონაწილე კერძო კომპანიებიდან და ხელისუფლების წარმომადგენლებიდან.თვეას წარმომადგენლებმა და ესპერტებმა წარმოადგინეს ბაზრების შესასწავლად ტექნიკური და პრაქტიკული ასპექტები,რაც შეეხება საქართველოს მწარმოებლებსა და ესპორტიორებს,თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიერ შექმნილ შესაძლებლობებზე ისაუბრეს.თემები მოიცავდა საბაჟო საკითებს,ისეთები როგორიცაა წარმოშობის წესები,წარმოშობის მტკიცებულებები,გადამოწმების პროცედურა,სანიტარული და ფიტოსანიტარული მოთხოვნები და ტექნიკური სტანდარტები.

## დასკვნა

ნაშრომში განხილულია თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის არსი,შექმნის მიზანი და მნიშვნელობა მსოფლიო ბაზარზე.მისი განვითარების რამდენიმე ფაზა,დამფუძნებელი ქვეყნები,მათი მოტივი და არსებული წევრები.განხილულია თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციისა და მისი წევრი ქვეყნების როლი თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში,მათ შორის ევროკავშირის ეკონომიკაში. საქართველოსა და თვეას შორის მოლაპრაკებების დაწყება,ხელშეკრულების დადება და მისი პირობები.განხილულია რა თითოეული ქვეყანა თავისი სახელმწიფოებრივი თუ ეკონომიკური ხასიათითა და არსებული სავაჭრო პოლიტიკით,გამოსახულია ყოველი ისეთი ინდივიდუალური მახასიათებლები ციფრებითა და გრაფიკებით,როგორებიცაა ყოველწლიური ბრუნვა თითოეული ქვეყნისთვის,საგარეო ვაჭრობის ყოველწლიური მზარდი თუ კლებადი გრაფიკი,რომელშიც განმარტებული და კლასიფიცირებულია იმ პროდუქტების სახეობები,რომლებიც გადის თუ შემოდის კონკრეტულ ქვეყანაში. წარმოჩენილია თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის წევრი ქვეყნებისთვის თავისუფალი ვაჭრობის გლობალურ ინტეგრაციას,რასაც მათი პარტნიორების სიუხვეც უსვამს ხაზს.პროექტში განხილულია საქართველოსა და თვეას წევრი ერთ-ერთი ეკონომიკური ურთიერთობით ყველაზე მზარდი ტემპის მქონე ქვეყნის,ნორვეგიის სტატისტიკური მონაცემები.შესაბამის ცხრილში ნაჩვენებია იმპორტირებული და ექსპორტირებული საქონელი კონკრეტული წლის ჭრილში თვეების მიხედვით,რისი მიზანიცაა წარმოჩინდეს ყოველი თვის დამახასიათებელი პასიური ან აქტიური მონაწილეობა ნორვეგიასთან ვაჭრობაში.მათ შორის საქართველოში ნორვეგიიდან შემოტანილი და საქართველოდან ნორვეგიაში გატანილი საქონლის ისეთი დახასიათება,როგორიცაა შეტანილი პროდუქტის წონა,რაოდენობა,ღირებულება და სხვა.პროექტში ნახსენებია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით დაინტერესებული საქართველოს ეკონომიკური აგენტების აქტიურობა და საერთაშორისო ხელშეწყობით ჩატარებული თავისუფალი ვაჭრობისა და ინტეგრაციის საკონსულტაციო შეხვედრების აქტუალობა.

# გამოყენებული ლიტერატურა


- საქართველოს შემოსავლების სამსახური, http://rs.ge/Default.aspx?sec_id=4793&lang=1
- საქართველოს ტატისტიკის ეროვნული სამსახური (http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo)
- ნორვეგიის ალკოჰოლური სასმელების ბაზრის თავისებურებები(EU-Georgia business council,2010)
- Alcohol in norway (Use,Consequences and Costs,Oslo Economics Report number 2013)
- ყველაფერი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ (Europe for Georgia, http://eugeorgia.info/ka/)
- საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები:პრობლემები და პერსპექტივები.თბილისი 2010,რ.ფუტკარაძე
- ევროკავშირი და საქართველო : მიმდინარე საკითხები და მომავლის პერსპექტივები,აღმოსავლეთ პარტნიორობა-მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმათი,თბილისი 2009, ვ.ჭყოიძე
- საქართველოს ეკონომიკის პექსპექტივა 2012(ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრიhttps://www.osgf.ge/files/2013/publikaciebi%202013/Report_GEO_WEB.pdf,)
- საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2018 (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო,http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2018_trade_turnover_2018_12.pdf)
- EFTA budget 2019 (https://www.efta.int/About-EFTA/Financial-Information-748)
- European Parliament ,Mario Damen / Fernando Garcés de los Fayos (https://www.europarl.europa.eu/factsheets/en/sheet/169/the-european-economic-area-eea-switzerland-and-the-north)
- The History of the EEA Agreement and the First Twenty Years of Its Existence, Sven Norberg and Martin Johansson 2016
- The EEA is not the way,The red cell (HJORTUR J. GUDMUNDSSON,2017)

- Statistics on UK-EU trade (Matthew Ward, BRIEFING PAPER 2019)
- Human Development Report 2016, Published for the (UNDP), Selim Jahan
- http://www.efta.int/Free-Trade/news/EFTA-and-Georgia-hold-trade-promotion-seminar-508931 (თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის ოფიციალური ვებ გვერდი,საქართველოს შესახებ)
- http://www.efta.int/statistics/sources-for-more-statistics (თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის ოფიციალური ვებ გვერდის სტატისტიკის განყოფილება)
- https://www.ssb.no/en/ (ნორვეგიის სტატისტიკის სამსახური)
- http://trade.efta.int/#/overview/EFTA/WORLD/2017/HS2 (თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის ოფიციალური ვებ გვერდი,თვეას პოზიცია მსოფლიო ორგანიზაციებთან)
- http://www.eib.org/projects/regions/efta/index.htm (European investment Bank)
- EFTA free trade relations , Dimitar Bratanov, 2013 december
- TTIP and Norway: Impact and trade policy options , Arne Melchior , 2016
- Back to the Future? Lessons of Differentiated Integration from the EFTA Countries for the UK's Future Relations with the EU, Sieglinde Gstöhl ,2017
- The EEA Agreement. A threat to Norwegian Democracy? , velferdsfag , 2016
- Towards an Integrated Europe, Richard E. Baldwin
- Do Hub-and-Spoke Free Trade Agreements Increase Trade? A Panel Data Analysis , Joseph Alba, Jung Hur, and Donghyun Park , April 2011